

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ინგა თავართქილაძე

ინგლისური ზეპირმეტყველების სწავლების თანამედროვე სტრატეგიები

ნაშრომი წარმოდგენილია განათლების მაგისტრატურის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო აბაშიძე

ინგლისური ზეპირმეტყველების სწავლების თანამედროვე სტრატეგიები

ანოტაცია

განათლების მაგისტრანტ ინგა თავართქილაძის ნაშრომში „ინგლისური ზეპირმეტყველების სწავლების თანამედროვე სტრატეგიები“ აღნიშნულია, უცხო ენის სწავლება საკმაოდ შრომატევადი პროცესია და ის პედაგოგისა და სტუდენტისგან ძალიან დიდ ძალისხმევას, ენერგიას, დროსა და მიზანმიმართულ, თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევა სჭირდება როგორც ენის შემსწავლელის, ასევე მასწავლებლისაგან და ამისათვის სასწავლო პროცესში ყველა ელემენტის ჩართვაა საჭირო. აგრეთვე ის, რომ წარსულთან შედარებით, დღეს მნიშვნელოვანია შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია, რაც მიღწევადია ლექსიკური ერთეულების სწავლების ეფექტური მეთოდების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს რომ ზეპირმეტყველების განვითარება პრობლემატური საკითხიცაა, გარდა შესაფერისი აქტივობების საჭიროებისა ასევე ცალკე უნდა გასათვალისწინებელია მოსწავლეთა სოციალური უნარებიც., როგორცაა: თავდაჯერებულობა, თვითშეფასება და მოტივაცია, თუმცა არსებობს ხელი შეშლელი ფაქტორებიც ესენია შიში და სიმორცხვე, რაც გამოწვეულია ამა თუ იმ თემის ირგვლივ შესაფერისი გრამატიკული თუ ლექსიკური ერთეულების სიმწირით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის ზეპირმეტყველების სწავლების ეფექტური გზების და საშუალებების განსაზღვრა, ზეპირმეტყველების სწავლების სხვადასხვა გზების წარმოჩენა, რომელიც მოიცავს ენის სწავლების მეთოდის ზოგად კლასიფიკაციას.

კვლევის ამოცანებია სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის სასწავლო პროცესში მეტყველების გასაუმჯობესებლად ლექსიკური ერთეულების სწავლების სხვადასხვა ფორმების შერჩევა. ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების განმტკიცების ისეთი გზების, ხერხებისა და სტრატეგიების ძიება, რომლებიც ეფექტურსა და საინტერესოს გახდის უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ეფექტურად გამოიყენოს ენა კომუნიკაციისათვის.

ნაშრომი განკუთვნილია მასწავლებლების, ბაკალავრიატის და განათლების მაგისტრანტი სტუდენტებისათვის. გამოკვლეული საკითხის შედეგები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების უნარის განვითარებას, რაც შესაბამისად გაზრდის მათ მოტივაციას;

ნაშრომი შედგება ოთხი თავის, ათი ქვეთავის, ჩატარებული კვლევისა, მისი შედეგების, დასკვნისა და რეკომენდაციებისაგან

Annotation

Inga Tavartkiladze, Master of Education's paper "Modern Strategies for Teaching English Oral Language" states that learning a foreign language is a very time-consuming process and requires a lot of effort, energy, time and purposeful, selfless work from the teacher and the student. Mastering a foreign language perfectly is a multifaceted process and requires a lot of effort from both the language learner and the teacher, and for this it is necessary to include all the elements in the learning process. Also, compared to the past, today it is important to communicate in the language of instruction, which is achieved by using effective methods of teaching lexical items. It should be noted that the development of oral language is also a problematic issue, in addition to the need for appropriate activities, students' social skills should also be considered separately, such as self-confidence, self-esteem and motivation.

The aim of the research is to identify effective ways and means of teaching oral language to improve the quality of teaching / learning, to present different ways of teaching oral language, which includes a general classification of the language teaching method.

The objectives of the research are to select different forms of teaching lexical items to improve the quality of teaching in the learning process. Search for ways, techniques, and strategies to reinforce English speaking that will make foreign language speaking effective and interesting and enable the learner to use the language effectively for communication.

The thesis is intended for teachers, undergraduate and graduate students. The results of the researched question will help to develop students' oral speech skills, which accordingly will increase their motivation;

The paper consists of four chapters, ten subsections, research, its results, conclusion and recommendations

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I ზეპირმეტყველების სწავლების მნიშვნელობა.....	11
1.1 ენის სწავლების მეთოდის კლასიფიკაცია.....	11
1.2. ინგლისური ენის სწავლების კომპონენტები.....	14
1.3. . ზეპირმეტყველება სწავლების მნიშვნელობა და ეფექტური გზები	15
1.4. კულტურათაშორისი კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა ენის შესწავლისას.....	
თავი II კომუნიკაცია –ზეპირი მეტყველების გამოხატვის საშუალება.....	17
2.1 ეფექტური კომუნიკაციის არსი.....	17
2.2 კომუნიკაციის ფორმები და სახეები.....	18
2.3 კომუნიკაციის მიზნები და ამოცანები.....	20
3 თავი. მოტივაციის როლი ზეპირი მეტყველების განვითარება გაუმჯობესებაში.....	22
3.1.გაკვეთილის მართვა ზეპირი მეტყველების სწავლებისას.....	22.
3.2.უცხო ენაზე მეტყველების განვითარება ტექნოლოგიების საშუალებით.....	25
3.3. აქტიური მოსმენა და მისი როლი უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში.....	30
თავი 4. ჩატარებული კვლევა, მისი შედეგები, დასკვნა და რეკომენდაციები.....	38
დასკვნა.....	50
ლიტერატურის დასახელება.....	51

შესავალი

უცხოური ენის სწავლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროპის კულტურათაშორისი საზოგადოების განვითარებაში, რომელიც კულტურული მრავალფეროვნების, შემოქმედობითობის და ტოლერანტობის პრინციპებზეა დაფუძნებული. უცხოური ენების სწავლება უწყვეტ კავშირშია მრავალენობრიობის (მულტილინგვიზმის) ანუ ენობრივი მრავალფეროვნების პრინციპის განვითარებასთან, ხოლო ენობრივი პოლიტიკა, რომელიც მრავალენობრიობას (მულტილინგვიზმს) ემყარება ევროპული იდენტობის ქვაკუთხედს წარმოადგენს. შესაბამისად ერთი უცხო ენის სწავლა განიხილება, როგორც გზა მეორე და მომდევნო უცხოური ენების შესწავლისაკენ. უცხოური ენის ცოდნა თანამედროვე ეპოქაში ადამიანის კონკურენტუნარიანობის ფასეულობადაა მიჩნეული. შესაბამისად, რამდენიმე უცხოური ენის სწავლება ევროპის საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

უცხო ენის სწავლება საკმაოდ შრომატევადი პროცესია და ის პედაგოგისა და სტუდენტისგან ძალიან დიდ ძალისხმევას, ენერგიას, დროსა და მიზანმიმართულ, თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. მართალია, ენის შესწავლის გარკვეულ ეტაპზე შემსწავლელთა ნაწილი თვლის, რომ შესამჩნევ პროგრესს მიაღწია და საკმაო ლექსიკის შესწავლის საფუძველზე მისი უცხო ენის ცოდნა მაღალ საფეხურზეა, თუმცა მას ხანდახან უწევს იმის გაცნობიერება რომ რეალურ ცხოვრებაში მაინც ხვდება ისეთი ავთენტური მასალები, რომლებიც მის შესაძლებლობებსა და ენის ფლობის დონეს აღემატება.

ავთენტური მასალების გააზრებისთვის სტუდენტთა მოსამზადებლად ენის სწავლების პროცესში თავს იჩენს რთული, არა ადაპტირებული მასალის შემოტანის საჭიროება. ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანია მეტაკოგნიტური, გააზრებული აღქმისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგის დახმარების გარეშე ავთენტური მასალის გააზრებული გაგების მცდელობაში შესაძლებელია ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ენის შემსწავლელის მიღება: ერთი, რომელიც სირთულეებს თავადვე ართმევს თავს და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის, და მეორე, რომელიც სიძნელეების გამო დაბნეული და დემოტივირებულია. ამიტომ, ავთენტური ტექსტებით და ლექსიკით უზრუნველყოფის შემთხვევაში უდიდეს დატვირთვას იძენს შესაბამისი სწავლების

სტილის დანერგვა და პედაგოგის ფუნქცია-მოვალეობების იმდაგვარად განსაზღვრა, რომელიც ენის შემსწავლელებზე იქნება მორგებული.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ენის სხვადასხვა უნარების განვითარება არ შეიძლება ენის შემსწავლელის სრულ პასუხისმგებლობად მოვიაზროთ, მისი სწავლების პასუხისმგებლობა გაზიარებულ უნდა იქნეს პედაგოგისა და სტუდენტის მიერ.

გააზრებული კითხვისა და კრიტიკული აზროვნების და უნარის განვითარებისათვის სტუდენტებს სჭირდებათ შინაარსობრივად მიმზიდველი, ლექსიკურად გამდიდრებული საინტერესო მასალები. ზოგადად, ენის შემსწავლელისათვის სასურველია ენის სწავლების ყველა კომპონენტის საფუძვლიანად შესწავლა.

ინგლისურ ენაზე მეტყველებისას მკვლევართა მიერ ძალიან ბევრი ასპექტია მხედველობაში გასათვალისწინებელი, ამიტომ ლექსიკის სხვადასხვა გზების კვლევა - შესწავლა ძალიან დიდ ძალისხმევასა და სწორ დაგეგმვას მოითხოვს. ასევე, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზსაც დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. აუცილებელია უცხოური ენის ათვისების ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა, რომელიც დამოკიდებულია არა მხოლოდ თანდაყოლილ მიდრეკილებაზე, არამედ ქვეყანაში განათლების სისტემაში არსებულ აქტუალურ ტენდენციებზე.

1 თავი: ზეპირიმეტყველების სწავლების მნიშვნელობა.

1.1. ენის სწავლების მეთოდის კლასიფიკაცია

ენის სწავლების მეთოდის ზოგადი კლასიფიკაცია; ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში იან ამოს კომენიუსი (კომენსკი) დიდაქტიკის პირველ და უკანასკნელ მიზნად მიიჩნევდა, ეპოვა და მასწავლებლამდე მიეტანა სწავლების ისეთი ხერხები/მეთოდები, რომელთა დახმარებითაც მოსწავლე მასწავლებლის ნაკლები ჩარევით მეტს ისწავლიდა და სკოლაც უწინდებურად მოსაწყენი აღარ მოეჩვენებოდა. ამის მისაღწევად კომენიუსი მოითხოვდა დიდაქტიკური აზროვნების შეცვლას, რაც იმას გულისხმობდა, რომ მხოლოდ სწავლების შინაარსი კი არ უნდა ყოფილიყო მასწავლებლის ყურადღების ცენტრში, არამედ იმ ხერხების/მეთოდების ძიება და პოვნაც, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები უფრო ადვილად და მეტი ხალისით აითვისებდნენ შინაარსს. მას შემდეგ, რაც კომენიუსმა ეს დიდაქტიკური პრინციპი გამოთქვა, სამ საუკუნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა, გამოიცადა და პრაქტიკაში დაინერგა უამრავი სასწავლო მეთოდი. ამ მეთოდების ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ადეკვატურად შევარჩევთ მათ. რა არის სწავლების მეთოდი და როგორ შევარჩიოთ იგი? ცნება “მეთოდი” სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარად აღიქმება, მაგრამ ნებისმიერ ვითარებაში გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზებს. სწავლების მეთოდი არის მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედება მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციის განსავითარებლად. სწავლების მეთოდის შერჩევასას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი და სავარაუდო შედეგი – რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს. სწორედ შედეგზეა დამოკიდებული როგორც კურსის შინაარსი, ასევე სწავლების მეთოდებიც. მეთოდის შერჩევასას უნდა დაავფიქრდეთ

- დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;
- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება .

ხშირად მასწავლებლებს უჭირთ აქტივობისა და მეთოდის ერთმანეთისგან გარჩევა. აქტივობას დაესმის კითხვა: რას ვაკეთებ? მაგალითად, მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს. ხოლო ის, რასაც დაესმის კითხვა: როგორ ვაკეთებ?– მეთოდია. მაგალითად, მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებს შეიმუშავებს გონებრივი იერიშით”.(team building activities for high school)word up mini games)ჯგუფური მუშაობის დროს შერჩეული აქტივობები საკლასო კულტურის და მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესების და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების

გამომუშავების საუკეთესო საშუალებაა. გუნდური მუშაობა და საქმიანობა გუნდური მუშაობა შეიძლება მიღწეული იქნას სხვადასხვა სახის სავარჯიშოების საშუალებით. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე რომ დაინგრეს მიკერძოების და განსჯის პროცესი, ასევე კოლექტიურად შეძლონ პრობლემის მოგვარება. გთავაზობთ რამოდენიმე მაგალითს: 2.კატეგორიები წესები: პედაგოგი აცხადებს კატეგორიას და სტუდენტები შეარჩევენ სიტყვებს, რომლებიც ამ კატეგორიაში შეიძლება იყოს. შესაძლო კატეგორიებია: არსებითი სახელები ზმნები ზედსართავი სახელი ემოციური სიტყვები დროებითი სიტყვები განათავსეთ სიტყვა ანბანის მიხედვით სამმარცვლიანი სიტყვები სიტყვები პრეფიქსებით ან სუფიქსებით საჭირო მასალები: თითოეული სიტყვის კომპლექტი თითოეული ცალკეულ ფურცელზე როგორ გააფართოვოთ თამაში: მოსწავლეებს აახსენებთ, რატომ სვამენ კონკრეტულ სიტყვებს თითოეულ კატეგორიაში. გაიარეთ საკლასო ოთახი, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველა სტუდენტი ჩართულია. თუ სტუდენტს აქვს სიტყვა, რომელსაც თქვენ არ მოელოდით ამ კატეგორიაში ჰკითხეთ მათ, რომ ახსნან მათი გადაწყვეტილება. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ერთი რამ: მოსწავლეს მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესახებ ცოდნის მიღებაში კი არ დაეხმაროს, არამედ გამოუმუშაოს მას ზოგადი/ტრანსფერული უნარებიც (მაგალითად, კომუნიკაციისა, პრეზენტაციისა, თანამშრომლობისა და სხვ.). სასურველი შედეგის მიღწევაში კი მას ადეკვატურად შერჩეული სწავლების მეთოდები დაეხმარება. საგანმანათლებლო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციას შეხვდებით. ერთ-ერთი კლასიფიკაციით, ისინი ორ ჯგუფად იყოფა: მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და მეთოდები, რომლებიც ავითარებს ზოგად/ტრანსფერულ უნარებს, – თუმცა ეს დაყოფა პირობითია, რადგან მეთოდთა უმრავლესობა მოსწავლეებს საგნობრივთან ერთად ზოგადი კომპეტენციის განვითარებაშიც ეხმარება. მრავალი სასწავლო მეთოდი ისწრაფვის, განუვითაროს მოსწავლეებს დამოუკიდებლად მოქმედების უნარი. იმისთვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს სწავლების მეთოდები, იგი სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს უნდა ფლობდეს. რა არის სწავლის სტრატეგიები? სწავლის სტრატეგია გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულ გამოყენებას სწავლის დროს. იგი აიოლებს ახალმიღებული ინფორმაციის აღქმას, გადამუშავებას და გონებაში შენახვას. სწავლის ეფექტური სტრატეგიები, როგორებიცაა, მაგალითად, ინფორმაციის ორგანიზება, დამუშავება, შეჯამება და დასკვნების გამოტანა, ჩანაწერების გაკეთება, საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, სამუშაოს განაწილება-დაგეგმვა და სხვა, მოსწავლეს მაღალ სააზროვნო უნარებს (ტრანსფერის უნარს, ანალიტიკურ, შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას) უვითარებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწავლეები უმეტესად

სწავლის ისეთ პრიმიტიულ და ნაკლებეფექტურ სტრატეგიას იყენებენ, როგორცაა მასალის გამეორება. სწავლის რომელი სტრატეგიაა მნიშვნელოვანი?

1. სწავლის სტრატეგიებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს **კოგნიტურ სტრატეგიებს**, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ცოდნას მოიპოვებს, გადაამუშავებს, გაანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გონებაში ჩაიბეჭდავს, საჭიროების შემთხვევაში გამოიხმობს და სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენებს.

2. არანაკლებ მნიშვნელოვანია **მეტაკოგნიტური სტრატეგიები**. მეტაკოგნიცია არის აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

3. **ემოციურ მოტივაციური** სტრატეგია. ეფექტიანი სწავლა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სწავლის ემოციურ-მოტივაციურ სტრატეგიებზეც, რომლებიც სწავლის პროცესს მუხტსა და ენერგიას აძლევს (Deci/Ryan 1993; Kuhl 1987) და მოსწავლეს შესასწავლი საკითხისადმი დადებით განწყობას უქმნის.

4. **ინტერაქცია** – ეფექტიანი სწავლა სოციალური ინტერაქციის გზით მიიღწევა. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსიები, ურთიერთსწავლება და სხვ.

5. **რესურსების მოხმარება** – რესურსებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს მიეკუთვნება სამუშაო კუთხე, მულტიმედიური, ქსელური სასწავლო საშუალებები, მაგალითად, ბიბლიოთეკები, ინტერნეტი და სხვ. მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სასწავლო დროც, რომლის სწორად გამოყენება ეფექტიანი სწავლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ძნელი სათქმელია, ჩამოთვლილ სტრატეგიათაგან (კოგნიტური, მეტაკოგნიტური, ემოციურ-მოტივაციური, სოციალური, რესურსებზე დაფუძნებული) რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტიანი სწავლისთვის, რადგან მათ მეტწილად კომპლექსურად იყენებენ (Weinert 1997). შესაძლოა, სწავლის პროცესში შეინიშნებოდეს სწავლის რომელიმე სტრატეგიის დეფიციტი, მაგრამ მისი კომპენსირება მოხერხდება, თუ სხვა სტრატეგიები მაღალ დონეზე იქნებაგანვითარებული. თუმცა არსებობს ისეთი რთული და კომპლექსური დავალებები, რომელთა შესასრულებლად სწავლის ყველა სტრატეგიის ცოდნა და გამოყენება აუცილებელი და საკმარისია, ერთ-ერთი მათგანი რომ გამოაკლდეს მარცხი გარდაუვალია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწავლების მეთოდები და სწავლის სტრატეგიები ერთი მედლის ორი მხარეა.

სწავლების მეთოდების ეფექტიანი გამოყენების **წინაპირობა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიების დაუფლებაა**.

1. 2. ზეპირმეტყველების სწავლების მნიშვნელობა და ეფექტური გზები

უცხო ენის სწავლება საკმაოდ შრომატევადი პროცესია და ის პედაგოგისა და სტუდენტისგან ძალიან დიდ ძალისხმევას, ენერგიას, დროსა და მიზანმიმართულ, თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. მართალია, ენის შესწავლის გარკვეულ ეტაპზე შემსწავლელთა ნაწილი თვლის, რომ შესამჩნევ პროგრესს მიაღწია და საკმაო ლექსიკის შესწავლის საფუძველზე მისი უცხო ენის ცოდნა მაღალ საფეხურზეა, თუმცა მას ხანდახან უწევს იმის გაცნობიერება რომ რეალურ ცხოვრებაში მაინც ხვდება ისეთი ავთენტური მასალები, რომლებიც მის შესაძლებლობებსა და ენის ფლობის დონეს აღემატება.

ავთენტური მასალების გააზრებისთვის სტუდენტთა მოსამზადებლად ენის სწავლების პროცესში თავს იჩენს რთული, არა ადაპტირებული მასალის შემოტანის საჭიროება. ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანია მეტაკოგნიტური, გააზრებული აღქმისა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგის დახმარების გარეშე ავთენტური მასალის გააზრებული გაგების მცდელობაში შესაძლებელია ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ენის შემსწავლელის მიღება: ერთი, რომელიც სირთულეებს თავადვე ართმევს თავს და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის, და მეორე, რომელიც სიძნელეების გამო დაბნეული და დემოტივირებულია. ამიტომ, ავთენტური ტექსტებით და ლექსიკით უზრუნველყოფის შემთხვევაში უდიდეს დატვირთვას იძენს შესაბამისი სწავლების სტილის დანერგვა და პედაგოგის ფუნქცია-მოვალეობების იმდაგვარად განსაზღვრა, რომელიც ენის შემსწავლელზე იქნება მორგებული.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ენის სხვადასხვა უნარების განვითარება არ შეიძლება ენის შემსწავლელის სრულ პასუხისმგებლობად მოვიაზროთ, მისი სწავლების პასუხისმგებლობა გაზიარებულ უნდა იქნეს პედაგოგისა და სტუდენტის მიერ.

გააზრებული კითხვისა და კრიტიკული აზროვნების და უნარის განვითარებისათვის სტუდენტებს სჭირდებათ შინაარსობრივად მიმზიდველი, ლექსიკურად გამდიდრებული საინტერესო მასალები. ზოგადად, ენის შემსწავლელისათვის სასურველია ენის სწავლების ყველა კომპონენტის საფუძვლიანად შესწავლა.

ინგლისურ ენაზე მეტყველებისას მკვლევართა მიერ ძალიან ბევრი ასპექტია მხედველობაში გასათვალისწინებელი, ამიტომ ლექსიკის სხვადასხვა გზების კვლევა - შესწავლა ძალიან დიდ ძალისხმევასა და სწორ დაგეგმვას მოითხოვს. ასევე, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზსაც დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. აუცილებელია უცხოური ენის ათვისების ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა, რომელიც დამოკიდებულია არა მხოლოდ თანდაყოლილ მიდრეკილებაზე, არამედ ქვეყანაში განათლების სისტემაში არსებულ აქტუალურ ტენდენციებზე.

საჭიროა დამახასიათებელი სირთულის მხატვრული ტექსტების ინტეგრირება, რომელიც სირთულის გამო ნაკლებობას განიცდის. ასევე შეინიშნება მხატვრული ტექსტების საშუალებით გააზრებული კითხვის უნარის სწავლების მკვეთრად ჩამოყალიბებული თეორიებისა და მოდელების, პრაქტიკული რეკომენდაციების ნაკლებობა. ნაშრომი მათი შევსებისა და განვითარების საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია რომ,საქართველო როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა,ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდს და აქედან გამომდინარე უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ სივრცეში რეალიზება.საქართველოში უცხოური ენის შესწავლა ითვალისწინებს თავისუფალი პიროვნების აღზრდას ,რომელიც შეძლებს ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანას.

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი უცხოური ენების ცოდნის აუცილებლობის შესახებ წერს:„ევროპულ ენათა შესწავლას და ცოდნას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ყველასთვის და განსაკუთრებით ჩვენთვის ,რომ ამ მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია,მაგრამ ამასთან არასდროს არ უნდა დავივიწყოთ რომ ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურ ენას და მხოლოდ მის უკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შეძენას (იაკობ გოგებაშვილი , 1974-223)

უშინკი კი მიიჩნევდა რომ,თუ ყრმა ბავშვობიდანვე ისაუბრებს რომელიმე უცხოურ ენაზე ,ამის გამო მისი სულიერი განვითარება არაფერს დაკარგავს ,შესაძლოა კიდევაც მოიგოს და აქვე მიუთითებს :„უცხოური ენის შესწავლა არ უნდა იწყებოდეს ძალიან ადრე და არავითარ შემთხვევაში არუნდა იწყებოდეს მანამდის,სანამ არ შევამჩნევთ , რომ დედაენამ ღრმა ფესვები გაიდგა ,ბავშვის სულიერ ბუნებაში (უშინსკი 1954,162)

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა ჩვენს ქვეყანასი პრობლემად რჩება საკონუმუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება.უცხო,მოტივაცია რასახ ენის სწავლების საგანმანათლებლო მიზანი არის დაწყებით საფეხურზე უცხო ენაზე ზეპირმეტყველება ,რაც გულისხმობს:მოსმენა და ლაპარაკი.ამის განსავითარებლად კი საჭიროა გრამატიკული და ლექსიკური ცოდნა -სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ზეპირმეტყველების განვითარება პრობლემატური საკითხიცაა,გარდა შესაფერისი აქტივობების საჭიროებისა ასევე ცალკე უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა სოციალური უნარებიც.,როგორცაა; ტავდაჯერებულობა,თვითშეფასება და მოტივაცია თუმცა არსებობს ხელი შემშლელი ფაქტორები;შიში და სიმორცხვე რაც გამოწვეულია ამა თუ იმ თემის ირგვლივ შესაფერისი გრამატიკული თუ ლექსიკური ერთეულების სიმწირით.

მიზნები

- ზეპირმეტყველების სწავლების სხვადასხვა გზების წარმოჩენა, რომელიც მოიცავს ენის სწავლების მეთოდის ზოგად კლასიფიკაციას.

- ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის კონკრეტული ამოცანები მდგომარეობს დასმულ მთავარ კითხვებზე პასუხების მოძიებაში:

- ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების სირთულეების დაძლევის გზების ძიება და მოსწავლეთა სამეტყველო უნარ-ჩვევის გაუმჯობესება.

- ჩემი კვლევის მიზანია ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების განმტკიცების ისეთი გზების, ხერხებისა და სტრატეგიების ძიება, რომლებიც ეფექტურსა და საინტერესოს გახდის უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ეფექტურად გამოიყენოს ენა კომუნიკაციისათვის.

გამოკვლეული საკითხის შედეგები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების უნარის განვითარებას, რაც შესაბამისად გაზრდის მათ მოტივაციას;

ამოცანები

გულისხმობს შემდეგს

- რა მნიშვნელობა აქვს ინგლისური ენის შემსწავლელებისათვის ინგლისური ენაზე მეტყველებას

- რა კომპონენტებს მოიცავს ინგლისური ენის სწავლება

- როგორ ვიყენებთ შესწავლილ ლექსიკას კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს

- რა სტრატეგიებს იყენებენ უცხო ენის შემსწავლელები ლექსიკური მარაგის გასაღრმავებლად სწავლების დაწყებითა და შემდგომ საფეხურებზე

- რამდენად ახერხებენ სტუდენტები ზეპირად მეტყველებას და ლექსიკის შესწავლას კითხვის დახმარებით? როგორ მიმდინარეობს ტექსტზე მუშაობა და კითხვის სტრატეგიების გამოყენება უცხო ენის გაკვეთილზე

- რა როლი აქვს აუდირებას უცხო ენის ლექსიკის ათვისებაში და აღქმაში, როგორ უნდა შეირჩეს მოსამენი მასალა ისე, რომ შემსწავლელმა ამ მასალაზე დაყრდნობით ლაპარაკის სწავლების ყველა საშუალება გამოიყენონ.

- რამდენად მნიშველოვანია მასწავლებლის როლი ამ ამოცანების შერულებაში.

სტრატეგიები

სწავლის სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს, გახდნენ უფრო დამოუკიდებლები.

ა. გამოკითხვა წყვილებში. გამოკითხვა წყვილებში საუკეთესო სტრატეგიაა სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, როცა მოსწავლეებს ათვისებული აქვთ საბაზო ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები. საწყის ეტაპზე სასურველია მოსწავლეებს მივაწოდოთ გამზადებული კითხვები ჰენდაუტების სახით ამა თუ იმ თემის ირგვლივ. მოსწავლეები იყოფიან 2 ჯგუფად, ინტერვიუერი და რესპონდენტი, ისინი აწარმოებენ გამოკითხვას

და აკეთებენ რეპორტს (მოხსენებას) მოპოვებული ინფორმაციის წარდგენით. შესაძლებელია როლების გაცვლა. საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს აქვთ საკმარისი გამოცდილება თვითონ შეადგინონ კითხვები, რომლებსაც გამოიყენებენ ინტერვიუსთვის. კითხვები შეიძლება კავშირში იყოს როგორც ლექსიკურ თემატურ ერთეულთან, ასევე გრამატიკულ მასალასთან. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ ურთიერთ დაკვირვების და თვითშეფასების რუბრიკას, რომლის საშუალებით მათ შეეძლება შეაფასონ საკუთარი ცოდნა, გამოავლინონ ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც დაეხმარება მათ შემდგომი სწავლის დასაგეგმად.

ბ. მთხრობელობა. მთხრობელობა სალაპარაკო უნარის განვითარებასთან ერთად მოსწავლეებში სოციალური და ემოციური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს, ზრდის მათ შემოქმედებითობას, ფანტაზიის უნარს, პროდუქტულობას და თავდაჯერებულობას. არსებობს მრავალფეროვანი სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მთხრობელობის გაუმჯობესებას

გ. როლური თამაში როლური თამაში ერთერთი ყველაზე გავრცელებული და ნაყოფიერი მეთოდია ზეპირმეტყველების განვითარებისთვის. იგი წარმოადგენს რომელიმე სიტუაციის მოდელირებას, სადაც მოსწავლეები ირჩევენ შესაფერის როლებს და მოქმედებენ ამ როლის შესატყვისად საკუთარი ინტერპრეტაციით. როლური თამაში ხელს უწყობს საკითხის ღრმად წვდომას, მასალის ხანგრძლივი დროით და მახსოვრებას, და ზრდის მათ ჩართულობასა და მოტივაციას. როლური თამაშისთვის მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს მოამზადებინოს სცენარი ან გეგმის მარტივი მონახაზი და დაეხმაროს როლების გადანაწილებაში. შესაძლებელია კითხვები წინასწარ დაიგეგმოს მოსწავლეების ასაკის და შესაძლებლობების გათვალისწინების მიხედვით.

დ. დისკუსია-დებატი დისკუსია ამ საუკუნის ყველაზე გავრცელებული საგანმანათლებლო მეთოდია, რომელიც ზეპირმეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეებში ფიქრის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარებას. მოსწავლეების როლი და ფუნქციები წინასწარ არის განსაზღვრული, შემუშავებულია წესები და მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას.

ე. აქსტიკულაცია - თითოეული ჯგუფი ირჩევს საუკეთესო თემას და თემის ავტორს უწევს კლასის წინაშე საკუთარი თემის მოყოლა. პრეზენტატორი ფასდება რუბრიკის მიხედვით. დისკუსია/დებატები დისკუსია 21-ე საუკუნის ყველაზე გავრცელებული საგანმანათლებლო მეთოდია, რომელიც ზეპირმეტყველების განვითარებასთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლეებში ფიქრის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. მოსწავლეების როლი და ფუნქციები წინასწარ არის განსაზღვრული, შემუშავებულია წესები და მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის ფუნქციას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადისკუსიო

თემის/კითხვების შერჩევა დიდ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს, ვინაიდან სასაუბრო თემატიკა უნდა განისაზღვრებოდეს მოსწავლეების ინტერესების და შესაძლებლობების მიხედვით.

კოგნიტური სტრატეგია არის სტრატეგია რომელიც ეხმარება მოსწავლეს, შექმნას და გაზარდოს ასოციაციები ახალ და უკვე ნაცნობ ინფორმაციას შორის. კოგნიტური სტრატეგიის მაგალითებია: კონტექსტის გაგება, ანალიზი, დასაბუთება. (დამახსოვრების), როცა მასწავლებელი აძლევს დავალებას ინგლისურად და მოსწავლეები მას ასრულებენ ფურცელსა ან დაფაზე).

მეტაკოგნიტური სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს, თავი გაართვან დავალებას, საერთო სასწავლო პროცესებში ჩაერთონ; ჩაერთონ სპეციფიკურ სასწავლო დავალებებში.

მეტაკოგნიტური სტრატეგიების ერთი ჯგუფი ეხმარება ინდივიდებს, შეიცნონ საკუთარი თავი უკეთ, როგორც ენის შემსწავლელებმა.

კომპენსატორული, გასაუმჯობესებელი სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეებს იმ ცოდნის შევსებაში, რაც მათ არ იციან. გასაუმჯობესებელ სტრატეგიებში შედის სინონიმები, უხვსიტყვაობა. ემოციური სტრატეგიები შეიცავს ინდივიდის გრძნობებს (მაგ.: შფოთვა, სიბრაზე, კმაყოფილება) და იძლევა ცოდნას უცხოური ენის დეტალებსა ან დავალებებზე.

ემოციური სტრატეგიები გავლენას ახდენს კულტურაზე. ზოგიერთი კულტურის მიხედვით ხდება საკუთარი გრძნობების დაკავშირება სწავლებასთან. შფოთვამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი რეაქცია უცხოური ენის შესწავლის პროცესში. მოცემული ემოციური სტრატეგიები შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს შიშის გადალახვაში იმ გზებით, როგორებიცაა, მაგალითად: ღრმა სუნთქვა, სიცილი, საუბარი („მე ვიცი, რომ მე შემიძლია ამის გაკეთება!“, „მე ახლა უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ადრე“) და სიამაყე.

სოციალური სტრატეგიები აადვილებს სწავლას და ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ იმ უცხოური ენის კულტურა, რომელსაც ისინი სწავლობენ. სოციალური სტრატეგიების მაგალითებია: კითხვების დასმა უფრო მეტი გარკვეულობისთვის ან კონკრეტული ფაქტის დასამტკიცებლად, ასევე დახმარება სთხოვო მეგობარს და ისწავლო კლასის გარეთ. სოციალური სტრატეგიები არის გადამწყვეტი უცხოური ენის შესწავლისას.

სტრატეგია 1: მოსწავლისთვის შესაფერისი სწავლის სტილის პოვნა. ზოგიერთი იყენებს აუდიომასალას, ზოგიერთი კი ცდილობს ურთიერთობის დამყარებას.

სტრატეგია 2: მოსწავლეები კლასში არიან აქტიურები. უსმენენ რადიოს, დადიან კინოში.

სტრატეგია 3: უცხოური ენის ცოდნის განვითარება, როგორც სისტემა და როგორც კომუნიკაცია. მათ ესმით, რომ უცხოური ენა არის არა მარტო წესების რთული სისტემა, არამედ ის გამოიყენება მიზნის მისაღწევად.

სტრატეგია 4: ყურადღების მიქცევა უცხოური ენის ცოდნის განვითარებაზე. ისინი კმაყოფილები არიან უცხოური ენის ცოდნის დონით, მაგრამ მაინც ცდილობენ მის გაუმჯობესებას. ითხოვენ შეცდომები შეუსწორონ.

სტრატეგია 5: უცხოური ენის განვითარება, როგორც ცალკე სისტემა. მოსწავლეები ცდილობენ, განავითარონ საკუთარი ცოდნა, შესასწავლ ენას არ უკავშირებენ მშობლიურ ენას.

სტრატეგია 6: ანგარიშის გაწევა იმ მოთხოვნებისთვის, რომლებსაც უცხოური ენა წამოაყენებს. მოსწავლეს უჭირს თავისი თავის გამოვლენა, ის უშვებს ბევრ შეცდომას

1.3. ინგლისური ენის სწავლების კომპონენტები

უცხო ენის სწავლება ძირითადად ოთხი მიმართულებით მიმდინარეობს. **მოსმენა, საუბარი, წერა და კითხვა.** ოთხივე უნარ-ჩვევა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და იმისთვის რომ უცხო ენის შესწავლა წარმატებით განხორციელდეს, ოთხივე მიმართულების განვითარება შესაფერისი აქტივობების დაგეგმვით თანაბარ დონეზე უნდა მიმდინარეობდეს. გასულ საუკუნეებში უცხო ენის გაკვეთილის მიზანი გრამატიკული წესებისა და კლასიკური ნაწარმოებების თარგმნა იყო, დღეს კი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია. აქედან გამომდინარე თარგმნასა და ზეპირობას ჩაენაცვლა შინაარსზე ორიენტირებული სწავლება ანუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მიენიჭა უპირატესობა, რომელიც ითვალისწინებს:

- 1 მოსმენა
2. ლაპარაკი
- 3 წერა
4. კითხვა

მათ მოიხსენიებენ რეცეპციულ უნარ -ჩვევებად (მოსმენა, კითხვა) და სამეტყველო აქტივობის ხელშემწყობ , ანუ პროდუქტულ უნარ-ჩვევებად (ლაპარაკი, წერა) ენის შესწავლა ასევე გულისხმობს შემდეგი ასპექტების დაუფლებასაც

1. ლექსიკა
2. გრამატიკა
3. მართლწერა
4. წარმოთქმა

წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად მოსწავლემ უნდა შეძლოს

- უცხო კულტურის აღქმა
- ამ კულტურის თავისებურებების სწორად შეფასება
- განსხვავებული კულტურის სათანადო დაფასება

დღესდღეისობით უცხოური ენის შესწავლის მთვარ ამოცანას წარმოადგენს ის რომ ენის შესწავლა ამ ენის კულტურის შესწავლასთან ერთად უნდა ხდებოდეს. იმისათვის რომ შემსწავლელმა შეძლოს ამ კულტურაში ინტეგრირება, უცხოური ენის გაკვეთილის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ის რომ მოსწავლეებს გავუზიაროთ ცოდნა უცხოურ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა ღირებულებების და მათი დამოკიდებულების შესახებ რეალურ სამყაროსთან მიმართებაში.

უცხო ენის შესწავლა მიზნად ისახავს უცხო სამყაროს შესვლას, ცხოვრების განსხვავებული ტრადიციების, წესების აღმოჩენას, განსხვავებული ღირებულებებისა და მენტალობების გაგებას. ამდენად წარმატებული კომუნიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სამეტყველო უნარ-ჩვევებზე, არამედ განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგებასა და პატივისცემის უნარზეც. სწორედ ამ უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ემსახურება მიმართულება „კულტურათა დიალოგი“ (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016)

1.2. კულტურათაშორისი კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა ენის შესწავლისას.

ჯ. ლეტონენი მიიჩნევს მრავალი ავტორის შეზღუდულ მიდგომას კულტურათა შორისი კომპეტენციისადმი, როგორც ტოლერანტობა კულტურული მახასიათებლების გამოვლენაში, კულტურული მგრძობელობა კონკრეტულ კულტურაში ქცევის წესებისადმი, გარკვეული კულტურული ფაქტების გაცნობიერება ან სხვა კულტურის წარმომადგენელთა გაგება. წარმატებული კომუნიკაციისთვის, ავტორის თვალსაზრისით, საჭიროა იცოდეთ ენა, ქვეყნის ისტორია, ხელოვნება, ეკონომიკა, საზოგადოება, ანუ გქონდეთ ყოვლისმომცველი ცოდნა ამ ქვეყნის კულტურის შესახებ.

კულტურათაშორისი კომპეტენციის კონცეფციას, მის სტრუქტურას და შეფასების მეთოდებს აქტიურად ავითარებს მაიკლ ბირამი, ინგლისის დურამის უნივერსიტეტის პროფესორი. მ. ბირამის მოდელი ყველაზე სრულყოფილია და მოიცავს ადამიანის სხვადასხვა თვისებებს, შესაძლებლობებსა და უნარებს. ეს მოდელი საფუძვლად უდევს კულტურათაშორისი კომპეტენციის ფორმირების გზების შესწავლას, რაც დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია. ამ მოდელის მიხედვით, კულტურათაშორისი კომპეტენცია შემდეგი ხუთი ელემენტისგან შედგება:

- ურთიერთობები

- ინტერპრეტაციისა და კორელაციის უნარები
- აღმოჩენისა და ურთიერთქმედების უნარი
- კულტურის კრიტიკული ცოდნა ან პოლიტიკური განათლება

კულტურათაშორისი კომპეტენციის მაღალი დონის სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს ღიაობისა და ცნობისმოყვარეობის საფუძველზე, სხვა და მშობლიური კულტურის შესახებ ცრურწმენების უარის თქმის სურვილის საფუძველზე.

ცოდნის კომპონენტი მოიცავს სოციალური ჯგუფების, მათი მახასიათებლებისა და პრაქტიკული საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობას საკუთარ ქვეყანაში და კომუნიკაციის პარტნიორის ქვეყანაში, სოციალური და პირადი ურთიერთობების ზოგადი პროცესების შესახებ.

ინტერპრეტაციისა და კორელაციის უნარ-ჩვევები არის ადამიანის შესაძლებლობა, განმარტოს სხვა კულტურის დოკუმენტი ან მოვლენა, ახსნას იგი და დაუკავშიროს საკუთარი კულტურის მოვლენებს.

კულტურათაშორისი კომპეტენციის კიდევ ერთი კომპონენტია ახალი ცოდნის ათვისების უნარი კულტურისა და კულტურული პრაქტიკის შესახებ, ცოდნის, ურთიერთობებისა და უნარების მუშაობის უნარი კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების კონტექსტში რეალურ დროში. ხოლო ბოლო კომპონენტი - კულტურის კრიტიკული ცოდნა ან პოლიტიკური განათლება - მდგომარეობს იმაში, რომ კრიტიკულად და გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე შეფასდეს მსოფლმხედველობა, საქმიანობა და საკუთარი და სხვა კულტურისთვის დამახასიათებელი საქმიანობის შედეგები. ამრიგად, კულტურათაშორისი კომპეტენტურ პირს აქვს შემდეგი თვისებები: სხვადასხვა კულტურათა შორის ურთიერთობის დანახვის შესაძლებლობა (როგორც გარე, ასევე შინაგანი საზოგადოებასთან მიმართებაში); შუამავლობის უნარი, ერთი კულტურის ინტერპრეტაცია სხვა კულტურის თვალსაზრისით; საკუთარი და სხვა კულტურის კრიტიკული და ანალიტიკური გაგება; სამყაროს საკუთარი შეხედულების ცოდნა და ის, რომ მისი აზროვნება კულტურულად არის განსაზღვრული და არა მხოლოდ დარწმუნება იმისა, რომ მისი მსოფლმხედველობა და გაგება ბუნებრივია. კულტურათაშორისი საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბება მოითხოვს საფუძვლიანი თეორიული ბაზის შექმნას, რაც შემდგომში საშუალებას მისცემს შექმნას მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს საშუალო სკოლის მოსწავლეების კულტურათა შორისი

კომუნიკაციური კომპეტენციის ჩამოყალიბებას დამატებითი განათლების კონტექსტში. შესაბამისად, პირველ თავში აუცილებელია შემდეგი ამოცანების ამოხსნა:

1. განსაზღვრეთ "საშუალო სკოლის მოსწავლეების კულტურათა შორისი კომუნიკაციური კომპეტენციის" ცნების შინაარსი უცხო ენების შესწავლაში საბაზო და დამატებითი განათლების ურთიერთქმედების იდეების განვითარების გათვალისწინებით.
2. დამატებითი განათლებისთვის უცხო ენის სწავლის მნიშვნელობის გამოვლენა, როგორც საშუალო სკოლის მოსწავლეების კულტურათა შორისი საკომუნიკაციო კომპეტენციის ჩამოყალიბების საშუალება.

2 თავი. : კომუნიკაცია –ზეპირი მეტყველების გამოხატვის საშუალება

2.1. ეფექტური კომუნიკაციის არსი

სიტყვა კომუნიკაცია წარმოსდგება ლათინური სიტყვისგან (communicatio) დაკავშირებას და საყოველთაოდ გადაქცევას გულისხმობს.ის მოიცავს ორ ან მეტ ადამიანს შორის ინფორმაციის, ურთიერთობის, აზრების,გრძნობებისა და ქცევების გაზიარებას.

კომუნიკაცია არის უწყვეტი პროცესი და დაკავშირებულია რამდენიმე კომპონენტთან და თითოეული ამ კომპონენტის დაცვაა სკომუნიკაცია აჭირო რათა სწორად მოხდეს აზრების გაცვლა და გააზრება.კომუნიკაცია არის სოციალური პროცესი,რომლის მეშვეობითაც ადამიანები კონკრეტულ კონტექსტში მნიშვნელობას იგებენ სიმბოლური ქცევის მეშვეობით როგორც ვიცით კომუნიკაცია მიმდინარეობს სხვადასხვა გარემოში და სიტუაციაში:მეგობრების,ტანამშრომლების,მეზობლების ახლობლების შორის იმისათვის რომ კარგი კომუნიკაცია გვექონდეს ერთმანეთთან კარგად უნდა ვიცნობდეთ საკუთარ თავს. ჩვენს შეხედულებათა ათვლის სისტემას და გვექონდეს უნარი შევაფასოთ სხვა ადამიანები. მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ გვექნება იმედი ეფექტური კომუნიკაციის გზების პოვნისა. კომუნიკაცია არ არსებობს ადამიანთა აქტიურობის გარეშე. კომუნიკაცია შეიძლება იყოს ძალიან რთულიც, მარტივიც, ოფიციალური და არა ოფიციალურიც -ყველაფერი არის დამოკიდებული გადასაცემი ინფორმაციის ტიპზე და მის გადამცემსა და მიმღებზე, აქედან გამომდინარე ჩანს რომ მიმღებსაც და გადამცემსაც გადამწყვეტი როლი ენჭება იმას თუ როგორ გადავცემთ და როგორ ვიღებთ ინფორმაციას.

ეფექტური კომუნიკაცია გულისხმობს არა მარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებას. მისი მიზანია სასურველი საპასუხო რეაქციის გამოწვევა მეორე ადამიანში და

მიმართულია არა მარტო ნათქვამის შინაარსზე არამედ პარტნიორის გრძნობებზეც. ფსიქოლოგები გამოყოფენ კომუნიკაციის ორ მხარეს - ინფორმაციის გამგზავნი, გადამცემი და ინფორმაციის მიმღები.

ინფორმაციის გამგზავნი ახდენს ინფორმაციის კოდირებას, ხოლო ინფორმაციის მიმღები იაზრებს რა სიტყვათა მნიშვნელობას, ახდენს ინფორმაციის დეკოდირებას. კომუნიკაცია არის ადამიანთა საბაზისო მოთხოვნილება. ადამიანი სოციალური არსებაა და მას ყოველდღიურად უამრავი კონტაქტის დამყარება უხდება. კომუნიკაციი ს მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია მისი ეფექტურად წარმართვა. კომუნიკაცია, თავისი არსით, საკუთარი აზრების, გრძნობებისა და იდეების სხვებისათვის გაზიარებას გულისხმობს. კომუნიკაცია არის რთული პროცესი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ გადავცემთ შეტყობინებებს, ვახდენთ მათ ინტერპრეტაციასა და კოორდინაციას, რა თა ურთიერთობა გვქონდეს სხვებთან და მივალწიოთ სოციალურ მიზნებს. კომუნიკაციის დროს საქმე გვაქვს შეტყობინებებთან, რომელიც შედგება ვერბალური სიმბოლოებისგან (სიტყვები), არავერბალური სიგნალების (ქცევები) და შესაძლოა ვიზუალური ხატებისგან, რომლებიც აზრებისა და გრძნობების გადაცემისათვის გამოიყენება. გააზრებისა და ანალიზის გზით, ჩვენ ვახდენთ სხვა ადამიანების შეტყობინებების ინტერპრეტაციას, ზოგჯერ –

უფრო ზუსტად, ძირითადად კი შეცდომით. კომუნიკაციის ეფექტური უნარის ქონა პიროვნების პირად, კარიერულ და სოციალურ სივრცეში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

2.2. კომუნიკაციის ფორმები და სახეები

კომუნიკაციის ფორმებს წარმოადგენს: ზეპირი, წერიტი, ვიზუალური და ა.შ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება შეტყობინების გზავნილის კოდირების სისტემით

არსებობს კომუნიკაციის შემდეგი სახეები:

- **ინტერპერსონალური**-როცა ხდება ადამიანის საუბარი თავის შინაგან მესთან
- **პიროვნებათაშორისი**-როცა კომუნიკაცია მიმდინარეობს ორ ადამიანს შორის
- **ჯგუფური** -როცა კომუნიკაცია მიმდინარეობს პიროვნებასა და ჯგუფს შორის , ჯგუფის შიგნით და ჯგუფებს შორის
- **მასობრივი** -რომელიც დიდი მასისთვისაა განკუთვნილი სიტყვა "ვერბალურად" მოდის ლათინურიდან "verbalis", რომელიც ითარგმნება როგორც - "ვერბალურად". ამიტომ, ვერბალური კომუნიკაცია ხდება სიტყვების საშუალებით და შეიძლება იყოს

3 ტიპი:

- ვერბალური მეტყველება;

- წერილობითი კომუნიკაცია;
- შინაგანი მეტყველება - ჩვენი შინაგანი დიალოგი (აზრების ფორმირება).

არავერბალური კომუნიკაცია სიტყვიერთან ერთად მოიცავს კომუნიკაციის სხვა სახეობებსაც -

- სხეულის ენას:
- ჟესტები, მიმიკა;
- ხმის ინტონაცია (ტემბრი, მოცულობა, ხველა);
- შეხება;
- ემოციები;
- სუნი.

აღსანიშნავია, რომ საუბრის ან სიტყვით გამოსვლისას (ვერბალური კომუნიკაცია), ადამიანი ხშირად მიმართავს არავერბალურ კომუნიკაციის გზას. მაგალითად, ინდივიდს შეუძლია გააუმჯობესოს მეტყველება ჟესტებით, სახის გამომეტყველებით, სხეულის პოზიციებით და ა.შ.

ხალხს შეუძლია უზარმაზარი ინფორმაციის აღქმა მხოლოდ არავერბალური კომუნიკაციის საშუალებით. მაგალითად, მუნჯი კინოს მსახიობებს ან პანტომიმის ჟანრში მოღვაწე მხატვრებს შეუძლიათ უსიტყვოდ მიაწოდონ თავიანთი აზრი მაცურებელს.

ტელეფონზე საუბრისას, ხშირად ვესაუბრებით, კარგად ვიცით, რომ ეს უაზროა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის არავერბალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცხოვრებაში. საინტერესო ფაქტი ისაა, რომ უსინათლოებიც იყენებენ ჟესტებს ტელეფონით საუბრისას.

ამავე დროს, არავერბალური სიგნალები დამახასიათებელია მრავალი ცხოველისთვის. კატას ან ძაღლს ათვალთქვამს, პატრონს შეუძლია გაიგოს მისი განწყობა და სურვილები. რა არის მხოლოდ ერთი კუდის ქნევა, რომელსაც ადამიანისთვის ბევრი რამის თქმა შეუძლია.

ინფორმაცია რომ გასაგები იყოს, საჭიროა:

- **ტერმინოლოგია**, რომელსაც კომუნიკაციისას ვიყენებთ, აუდიტორიისათვის გასაგები იყოს; სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებისას დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ შემსწავლელებს ჩვენს მიერ მიწოდებული ტერმინოლოგია ესმით;
- **შინაარსი** უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული; ყოველთვის უნდა შევეცადოთ, რომ ყველაფერი, რისი თქმაც გვსურს, იყოს მკაფიოდ ფორმულირებული და

ნაკლებად ნაგულისხმევი. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ აუდიტორიის გამოცდილება, როგორც ინდივიდუალური, ისე კულტურული.

- ინფორმაციის სიდიდე დამოკიდებულია თემასა და აუდიტორიაზე, თუმცა ის არ უნდა იყოს ძალიან გრძელი და მოსაბეზრებელი და ასევე – ძალიან მოკლე და გაუგებარი;
- მასალა უნდა იყოს კარგად სტრუქტურირებული და ლოგიკურად ორგანიზებული; გამოკვეთილი უნდა იყოს მნიშვნელოვანი მომენტები; ასევე, სასურველია ინფორმაციაში იგრძნობოდეს მოვლენების ქრონოლოგია: მოვლენის დაწყება, განვითარება და დასასრული;
- ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ლოგიკურ ანალიზს;
- ინფორმაციის გადაცემის დრო ძალიან მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ეფექტურობისათვის; კომუნიკაციისათვის საჭიროა არა მარტო ინფორმაციის კარგად ჩამოყალიბება, არამედ საჭირო დროს გადაცემაც.

კლასში დიდი დრო იხარჯება მასწავლებლის მიერ მასალის ახსნაზე. რაც უფრო ნათლად, მარტივად, ლოგიკურად და გასაგებად ჩამოაყალიბებს მასწავლებელი ასახსნელ მასალას და რაც უფრო მეტად დაუკავშირებს მას აუდიტორიის გამოცდილებას, მით უფრო ადვილად გასაგები გახდება მასალა სტუდენტებისათვის.

2.3 კომუნიკაციის მიზნები და ამოცანები

თითველი ჩვენგანი ერთი ან რამდენიმე ორგანიზაციის წევრია. აშკარაა რომ კომუნიკაცია აცოცხლებს ანუ სიცოცხლის უნარიანს ხდის ორგანიზაციულ სტრუქტურას. ორგანიზაციულ სფეროში ერთ-ერთი პირველი თეორიტიკოსი **ბარნარდი** აღნიშნავდა, რომ ორგანიზაციის სრულად გაშუქებულ ნებისმიერ თეორიაში ცენტრალურ ადგილს კომუნიკაცია იკავებს, რადგანაც ორგანიზაციის საქმიანობის მოცულობა, და სტრუქტურა დამოკიდებულია კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებზე. მოგვიანებით **დ.კანი და რ.კანი** წერდნენ, რომ კომუნიკაცია წარმოადგენს სოციალურ პროცესს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ნებისმიერი ჯგუფის საქმიანობაში.

კომუნიკაცია აყალიბებს სოციალურ სისტემას ან ორგანიზაციის ძირითად არსს. **გ.საიმონმა** განსხვავებული ფორმულირება მისცა კომუნიკაციის არსს, მისი აზრით კომუნიკაცია არის ერთობლივად მომუშავე ინდივიდების მდგრადი სისტემა საერთო მიზნების მისაღწევად, რანგების ირარქიისა და შრომის განაწილების საფუძველზე.

როდესაც ვსაუბრობთ უცხოური ენის სწავლებაზე, იგულისხმება ენის უნარ-ჩვევების (მოსმენა, წერა, ლაპარაკი, კითხვა) სწავლება. (**ჩინჩალაძე, ლ. 2008წ.**). მოსმენა და კითხვა

რეცეპტიული უნარ-ჩვევებია, ვინაიდან ძირითადი ყურადღება მიმართულია ინფორმაციის მიღებაზე, ხოლო ლაპარაკი და წერა პროდუქტიული, რადგან მათი მთავარი მიზნებია ინფორმაციის შექმნა. (Nunan, D. 2005).

კომუნიკაციის ფუნქციები შეიძლება იყოს :

1. კონტაქტური (კონტაქტის დამყარება, ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის მზაობა);
2. ინფორმაციული (ინფორმაციის გაცვლა, კითხვა-პასუხი);
3. მიზნობრივი (ან მიზნობრივად მასტიმულირებელი);
4. მაკოორდინირებელი(ურთიერთკოორდინაცია და ერთობლივ მოქმედებებში შეთანხმება);
5. გაგების ფუნქცია (აზრის ადეკვატური გაგებისა და ზოგადად გაგების ფუნქცია)
6. ემოციური ფუნქცია (ემოციების გაცვლა);
7. ურთიერთობების დამყარების ფუნქცია (საკუთარი ადგილის ფიქსაცია სოციუმში)
8. გავლენის მოხდენის ფუნქცია (პარტნიორის მდგომარეობის შეცვლა, საქციელის, პიროვნული და აზრობრივი დამოკიდებულებების ცვლილებანი).

კომუნიკაციის მიზნებია: შეტყობინება, გაფრთხილება, აღწერა, განმარტების მიცემა, გართობა, დარწმუნება და ა.შ.

მეტყველების დროს კომუნიკაციაში ჩართულ პირთა ქცევები გარკვეულ მიზანს ექვემდებარება. მიზნის მისაღწევად კი გამოიყენება სხვადასხვა ხერხები

- კომუნიკაციური სტრატეგიები;
- კომუნიკაციური ტაქტიკა;
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები.

ინფორმაცია, კომუნიკაცია და კომუნიკაციური ტექნოლოგიები უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეპოქაში. კომუნიკაციის პრინციპები და მეცნიერული ამოცანები ლინგვისტიკასა და ენათა სფეროში გამოჩნდა და შეცვალა ტრადიციული ენათმეცნიერების მიდგომები. დღეს ენის სწავლება მხოლოდ გრამატიკული წესების დაზეპირებით შეუძლებელია, რადგან დამკვიდრდა ახალი მიდგომა - კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

3 თავი. მოტივაციის როლი ზეპირი მეტყველების განვითარება გაუმჯობესებაში

3.1. გაკვეთილის მართვა ზეპირი მეტყველების სწავლებისას.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა.

გეგმა საკმაოდ მოქნილი და შემოქმედებითი უნდა იყოს, რათა მასწავლებელმა შეძლოს სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარება. **იუნგკი** დაეყრდნო ოსბორნის მიერ შექმნილი მეთოდის, გონებრივი იერიშის, ძირითად პრინციპს. როგორც ოსბორნი გამოყოფდა გონებრივ იერიშში იდეების გენერირებისა (შემოქმედებითი აზროვნება) და ფოკუსირების (კრიტიკული აზროვნება) ფაზებს, ასევე იუნგკმაც მომავლის სახელოსნო კრიტიკის, ფანტაზიისა და ფოკუსირების ფაზებად დაყო.

21-ე საუკუნის განათლება გულისხმობს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა, სამოქალაქო ჩართულობა, კულტურული ცნობიერება, ინიციატივა და პასუხისმგებლობა

ეროვნულისასწავლო გეგმის თანახმად, უცხო ენის სწავლების პირველ დონეზე სწავლება/სწავლის მისაღწევ შედეგში ვკითხულობთ- „მოსწავლეს შეუძლია მასწავლებლის მითითებების გაგება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: სათანადოდ რეაგირებს მასწავლებლის

მითითებებზე (ადექი, დაჯექი, მოდი დაფასთან, გადაშალე წიგნი და სხვა)“ (ესგ,

თბილისი, 2016 : 465).

„მოსწავლეს შეუძლია შინაარსის გასაგებად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ცდილობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობას ნაცნობ ვერბალურ თუ არავერბალურ ელემენტებზე

დაყრდნობით (ყესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ინტონაცია, ილუსტრაცია)“ (ესგ , 2016 : 466).

აღნიშნული შედეგის მიღწევა შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთილზე მოსწავლეებს შევუქმნით უცხოენოვან გარემოს. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები სამიზნე ენის გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებით საუბრობენ ენობრივი რესურსის სიმცირის პრობლემაზე, რაც ხელს უშლის მთელი საგაკვეთილო პროცესის სამიზნე ენაზე წარმართვას.

საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას თუ დავეყრდნობი სასკოლო გაკვეთილების დაგეგმვის დროს ყოველთვის ვცდილობ დავეყრდნო სამიზნე ენაზე ინსტრუქციების მიცემის დროს. მასწავლებელმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს მშობლიური ენის გამოყენება უცხოური ენის გაკვეთილზე და მაქსიმალურად უნდა შეეცადოს სამიზნე ენის გასაგები და მარტივი სიტყვები გამოიყენოს. „მასწავლებელმა უცხო ენის გაკვეთილზე

სისტემატურად უნდა გამოიყენოს მარტივი და გასაგები ფრაზები. მოსწავლეები თანდათან გაიაზრებენ მათ მნიშვნელობას და შემდგომ თავადაც გამოიყენებენ საუბრის დროს“ (ჰალიველი, 1992:7).

თავდაპირველად მოსწავლეები ვერ გებულობენ ინსტრუქციის მოთხოვნებს, ამიტომაც ვცდილობთ გამოვიყენოთ მარტივი ფრაზები და ლექსიკური ერთეულები, მარტივი წინადადებები, სათანადო ჟესტები, მიმიკები, ინტონაციები, მეტყველების სხვა არავერბალური საშუალებები - ილუსტრაციები, ნახატები, პოსტერები, დასურათებული ბარათები და ა.შ. მათი საშუალებით მოსწავლეებისათვის ეს მარტივი ინსტრუქციები გასაგები ხდება. ვცდილობთ არ ვთარგმნოთ, თუკი ამის აუცილებელი პირობა არ იქმნება. თანაც მოსწავლეები ისედაც თავად თარგმნიან მასწავლებლის ინსტრუქციებს, თითქოს ამით სხვებს ეხმარებიან. უცხო ენის სწავლების პროცესში ასეთი მიდგომა მცირე დროში ეფექტური შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს ზეპირი კომუნიკაციის უნარების დახვეწას.

სამიზნე ენის გამოყენება აუცილებელია დავიწყოთ სწორედ პირველ დონეზე, დაწყებითი საფეხურის მეორე დონეზე მოსწავლეს უკვე უნდა შეეძლოს მოკლედ უპასუხოს კითხვებს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე, ან რეაგირებას ახდენდეს მათზე არავერბალური საშუალებებით. მას უნდა შეეძლოს საუბარი საკუთარი თავის შესახებ - რა აქვს, რა ჰყავს, რა ჰქვია, რას აკეთებს, რა მოსწონს და მისთ. თუკი მასწავლებელი თავიდანვე შეძლებს უცხოენოვანი გარემოს შექმნას კლასში სამიზნე ენის გამოყენებით, მაშინ მეორე დონეზე მოსწავლეები უკვე თავისუფლად შეძლებენ კომუნიკაციაში შევიდნენ მასწავლებელთან ამავე უცხო ენის გამოყენების საშუალებით. სამიზნე ენას

გამოყენების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს დასურათებული ბარათების გამოყენებით სიტყვების სწავლება. მოსწავლეებს ვებმარებით ბარათებზე დატანილი სურათების შესაბამისი სიტყვების გამოყენებით შეადგინოს სხვადასხვა წინადადება. ამავე გზით ვცდილობთ მარტივი ზმნების სწავლებას, რომლის დროსაც არა მარტო დასურათებული ბარათების გამოყენებას ვახერხებთ, არამედ, მოსწავლეებს ვაძლევთ საშუალებას თავად გამოხატონ აღნიშნული მოქმედებები, რაც ხელს უწყობს მახსოვრობის უნარის გაძლიერებას. აღნიშნული აქტივობა საგაკვეთილო პროცესში შემდეგნაირად შეგვიძლია ჩავატაროთ. ვირჩევთ კონკრეტულ ზმნას და ვცდილობთ აქტივობაში განვახორციელოთ ამ ზმნით გამოხატული მოქმედება,

მაგ: I can swim, I can dance, I can jump, I can run, I can smile, I can read, I can write, I can paint, I can sleep, I can play the piano და ა. შ.

ამ აქტივობის უპირატესობა გახლავთ იმაში რომ მოსწავლეები ჩვენთან ერთად აქტიურად იმეორებენ თითოეულ ზმნას და ადვილად იმახსოვრებენ თითოეულ სიტყვას. ასეთი აქტივობები ახალისებს ბავშვებს და აძლევს შესაძლებლობას შეისწავლონ ახალი სიტყვები სახალისო გზით და მათი გამოყენებით შეადგინონ მარტივი წინადადებები.

უცხო ენის სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება ჭირს, ამიტომაც სწავლების სტრატეგია რეპროდუცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. რეპროდუცირების მიზანია სწორი გამოთქმის ჩამოყალიბება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება. ამ მიზნით მასწავლებლები იყენებენ ლექსებს, სიმღერებს, დიალოგებს, სკეტჩებს, როლურ თამაშებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ალაპარაკებას.

3.2. უცხო ენაზე მეტყველების განვითარება ტექნოლოგიების საშუალებით.

ინტერნეტის დახმარებით უცხოური ენის შესწავლა დღეს მეტნაკლებად დიდი მოცულობის ელექტრონული სასწავლო პლატფორმების მეშვეობით მიმდინარეობს. მედიების შესაბამისად მომზადებულ შინაარსებთან ერთად სასწავლო პლატფორმები, უპირველეს ყოვლისა, მთელ რიგ მექანიზმებს სთავაზობს ენის შემსწავლელებს ვირტუალური სწავლებისა და სწავლისათვის მოსამზადებლად.

ციფრული მედიების მეშვეობით დღეს ენის შემსწავლელს უამრავი საშუალება ეძლევა, თავად გახადოს სასწავლო პროცესი საინტერესო. ციფრული მედიების გამოყენებით შესაძლებელია, მაგალითად, პროექტის შედეგების ინტერნეტში გამოქვეყნება და მათ შესახებ დისკუსიების წარმართვა. საკომუნიკაციო არხებით, როგორცაა ჩატი და ფორუმები,

უცხოური ენის შესწავლისათვის ბოლო პერიოდში ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. საკმაოდ პოპულარულია დღეს ჩატით მუშაობა და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის კრიტიკის საგანია, ძირითადად დადებითი შედეგების მომტანია. უკვე არსებობს ხმოვანი ჩატები, რომლებიც ზეპირი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა და ვირტუალურ სივრცეში (მაგ. Second Life) ენის შემსწავლელებს საკუთარი სახის თავიანთი ავატარის უკან „დამალვა“ და ასევე აუდიოარხის თვალსაჩინო ინსცენირებისათვის გამოყენება შეუძლიათ. ტექსტ-ჩატისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც სინქრონულობის გამო დაბეჭდილი საუბარი კონცეფციურად უფრო ზეპირია, ვიკები და ბლოგები, როგორც ასინქრონული მედიები. ბლოგები და ვიკები ინდივიდუალური წერის სწრაფ შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ტექსტ-ჩატები და ხმოვანი შეტყობინებები სწრაფი ინტერაქციის საშუალებაა

21-ე საუკუნე წარმოუდგენელია ციფრული ტექნოლოგიების გარეშე, იგი გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, მათ შორის მნიშვნელოვანია განათლების ინფორმატიზაცია, რამაც ხელი შეუწყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო

პროცესში. ციფრულ ტექნოლოგიებს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ კომპეტენციებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომლის მიზანია საგანთა

შორის კავშირების დამყარება, ქსელური მიება, ტექსტების ელექტრონულად დამუშავება, მულტიმედია საშუალებების გამოყენება, შემოქმედებითი, ინოვაციური მიდგომები. კომპიუტერული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესს მეტად მრავალფეროვანს, შემოქმედებითს და საინტერესოს ხდის, ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ინტერესს და ეფექტურია განწყობის შესაქმნელად, ბავშვის ცნობისმოყვარეობის გასაღვივებლად, მასალის უკეთესად აღსაქმელად. ციფრული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინგლისური ენის მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას. ინგლისური ენის შემსწავლელთათვის სპეციალური კურსები, ონლაინ კონფერენციებში, ფორუმში მონაწილეობა, კარგი საშუალებაა ინოვაციური მეთოდებისა და სტრატეგიების უკეთ შესასწავლად და გასაცნობად. მასწავლებელმა სასურველია დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო პროექტი, ინოვაციური ინგლისური გაკვეთილი, გაიაროს ონლაინ ტრენინგი, შექმნას ელექტრონული პორტფოლიო გამოიყენოს ელექტრონული ბიბლიოთეკა, ინგლისური ენის სწავლების ვებგვერდები, პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, გაზეთი, შექმნას ციფრული მულტიმედია, (ტექსტი, აუდიო-ვიდეო პრეზენტაცია) რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს შორის უკუკავშირის დამყარებას, მოახდინოს ცოდნის დისტანციური გადაცემა და შეფასება, შექმნას ელექტრონული ქვიზი, დავალება, გამოიყენოს შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი და გაუზიაროს მოსწავლეებს. ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილი მოსწავლეებს უვითარებს 21-ე საუკუნის უნარებს: ცოდნა, მოსმენა-გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, პრობლემის გადაჭრა, ანალიტიკური აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, კვლევა, მიება, კომუნიკაცია, მედიაწიგნიერება, ციფრული წიგნიერება მეტყველების, წერის, სოციალურ-კულტურული უნარები, ლიდერობა, პასუხისმგებლობა, თვითშეფასება, თვითგამოხატვა.

ტექნოლოგიურმა საუკუნემ უცხოური ენის შესწავლაში დიდი როლი ითამაშა, კრეატიული აზროვნების ჩამოყალიბებაში, ავთენტური მასალის ხელმისაწვდომობაში და ა.შ. ინტერაქტიული ანუ თანამედროვე სწავლება თვალსაჩინოების გარეშე ვერ იარსებებს. თვალსაჩინოებაზე აქცენტირება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების უმთავრესი გამოძახილია, სწავლება ელექტრონული პრინციპით, დამხმარე ინსტრუმენტია ტრადიციული სწავლების.

კეროლ ბეგლის აზრით: „ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლეები აკეთებდნენ მეტს, ვიდრე უყურებდნენ სამყაროს ტელევიზორის ეკრანიდან. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ბავშვები იძლეოდნენ კითხვებს, ერთმანეთს უზიარებდნენ, ატარებდნენ ერთობლივ

კვლევებს. ჩვენ გვინდა, რომ ისინი პლანეტა დედამიწის მასშტაბით ერკვეოდნენ კულტურაში, გეოგრაფიაში, პოლიტიკაში, ისტორიაში და მეცნიერებაში. ტელეკომუნიკაცია სწავლის პროცესის ძლიერი საშუალებაა” (ჯინჯიხაძე, 2012:266).ს. ზოგადად, მიდგომა ციფრულ ტექნოლოგიებს და სასწავლო პროცესს შორის ასეთია, მათი გამოყენება არ წარმოადგენს თვითმიზანს, ტექნიკური მხარდაჭერა ეს საუკეთესო პირობაა, გაკვეთილის წარმატებით ჩასატარებლად ჩვენი მიზნის მისაღწევად ანუ ზეპირმეტყველების ჩვევების ჩამოსაყალიბებლად და თუმცა მასწავლებელი მაინც აუცილებელია, რათა სწავლების სტრატეგია სწორად იყოს შერჩეული.

ციფრული ტექნოლოგია ხელს უწყობს მასალის ვიზუალიზაციას, რომლის ძირითადი მიზანია დემონსტრირება, რათა საგაკვეთილო თემა ადვილად აღქმადი გახდეს. ვიზუალური მასალა შეიძლება იყოს: ბუნების ობიექტი, როდესაც გასეირნების ან ექსკურსიის დროს იხილავენ მოსწავლეები.

რუსი პედაგოგის ალა ბაბაილოვას აზრით: “სასწავლო ტექსტი ეს არის ტექსტუალური აქტივობის, სწავლების, სასწავლო ტექსტობრივი კომუნიკაციის ერთეული. შინაარსობრივი, ენობრივი, კომპოზიციური მიმართულებით, დიდაქტიკური მიზნებისთვის ორგანიზებული. განსაზღვრული ჯგუფის ადამიანებს უყალიბდებათ სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევები“ (მჭავანაძე, 2013:31).

ინგლისური ენის გაკვეთილზე ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ხელს უწყობს არამარტო ლინგვისტური, არამედ ციფრული ტექნოლოგიების უნარების ფლობას : გაგების, კომუნიკაციის, ანალიტიკური, სინთეზური აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, ლიდერობის, თვითშეფასების, კვლევა- ძიების, თვითგამოხატვის და სამოქალაქო ცნობიერების უნარების განვითარებას.

მასწავლებელი არამხოლოდ თავის საგანს უნდა ფლობდეს, არამედ, სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, მათ შორის არის ციფრული საშუალებები. სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენება დია პროექტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ დიაფილმების ჩვენებას, რომელიც კინოპროექტორზე მეტად ადვილია, თან საშუალებას აძლევს პედაგოგს კადრი შეაჩეროს და საკმაო ხანს დააკვირდნენ მოსწავლეები. დიაფილმების კადრებს, ახლავს წარწერები, თუმცა არსებობს ხმოვანი დიაფილმებიც. განსაკუთრებით უცხოური ენის შესასწავლად ეს მოწყობილობა არის ხელსაყრელი, ენის შემსწავლელს გაუმარტივდება სწავლება.

- ეპიდიასკოპის- გამოყენება სწავლების პროცესში ხელს უწყობს მცირე წარწერების გადიდებას. დაფაზე დაწერილი ტექსტი, წიგნში დაწერილი მასალა მეტად მარტივად აღქმადი ხდება.

- **მაგნიტოფონი**- სასიკეთოდ მოქმედებს მოსწავლეებზე, უცხოური ენა მხოლოდ წიგნებიდან არ ისწავლება, აუცილებელია ავთენტური ჩანაწერების მოსმენა, ყური ეჩვევა უცხო ბგერებს და უფრო მარტივად აღქმადი ხდება ტექსტი.
- **ლინგაფონი**- უმნიშვნელოვანეს აპარატურას წარმოადგენს უცხოური ენის შესწავლის პროცესში, ლინგაფონების დამსახურებით მოსწავლეები ითვისებენ სწორად წარმოთქმას. დღესდღობით, მოსმენითი დავალებები ყველა უცხოენოვან წიგნს მოყვება და CD დისკზე ჩაწერილი ხმოვანი მასალა. კომპიუტერმა ეს პრობლემა მოაგვარა და მასწავლებლისთვის ძალიან გაამარტივა მოსმენის პროცესი.
- **პრეზენტაცია** მნიშვნელოვანია ინგლისური ენის **მეტყველების გაკვეთილის** ეფექტურად ჩასატარებლად, რომლის მიზანი არის ინფორმაციის მიწოდება, პრობლემაზე დაფიქრება, დაინტერესება. ნებისმიერი სასწავლო პროექტი პრეზენტაციებით მთავრდება და ამაში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები, რაც კვლევითი საქმიანობისადმი ინტერესს აძლიერებს. პრეზენტაციის მოსამზადებლად ფართოდ გამოიყენება პროგრამა Microsoft PowerPoint.

დისტანციური სწავლების ითვალისწინებს სამ ძირითად სწავლების ფორმებს, ესენია: კომპიუტერით სწავლება, დისტანციური სწავლება ინტერნეტით და მობილური სწავლება (m-learning). ონლაინ სწავლებაში სხვადასხვა პლატფორმები ვირტუალურ საკლასო ოთახებს გვთავაზობს, ესენია: zoom, moodle, microsoft teams. ონლაინ სწავლებისთვის აუცილებელია ინტერნეტთან და კომპიუტერთან წვდომა. Zoom – zoom video communications - ზუმ აერთიანებს: ვიდეო კონფერენციებს, ონლაინ ჩეთებს, ვებინარებს, ონლაინ შეხვედრებს, ონლაინ გაკვეთილებს, ონლაინ ლექციებს და ა.შ. ონლაინ გაკვეთილის განსახორციელებლად საჭიროა რეგისტრაციის გავლა და სამიზნე აუდიტორიის წევრების მოწვევა, ზუმს აპლიკაცია აქვს რომლის გადმოწერით შესაძლებელია ონლაინ მუშაობა, იგი 100-მდე მოსწავლეს აერთიანებს, თუ შეხვედრას სამზე მეტი მონაწილე ჰყავს, ვიდეო ზარის დრო ორმოცი წუთია .თითოეულ მონაწილეს შეუძლია მიკროფონის და ვიდეოს მართვა ,გამოყენება, საკუთარი ეკრანის გაზიარება პრეზენტაციისათვის Microsoft teams -საქართველოს განათლების სამინისტრომ შემოგვთავაზა დისტანციური სწავლებისა და კომუნიკაციის მძლავრი სისტემა, რომელიც საგანმანათლებლო პროცესზე მორგებულ შესაძლებლობებს გვთავაზობს, სასწავლო პლატფორმა შესაძლებელს ხდის საგაკვეთილო პროცესი სრულად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე დისტანციურ რეჟიმში წარიმართოს. დისტანციურად ჩატარდეს გაკვეთილები, მოხდეს ელექტრონული კონტენტის გაზიარება, შეიქმნას ჯგუფები და დაემატოს დისციპლინები, ვირტუალურად მოხდეს საგაკვეთილო პროცესის ვიზუალიზაცია სლაიდების და პრეზენტაციის საშუალებით, დამყარდეს უკუკავშირი ხმოვანი და წერილობითი სახით, შემოწმდეს სწრებადობა, ასვე სასწავლო

პლატფორმას გააჩნია მოსწავლეების შეფასების მოდელი, ცოდნის დონის განვითარებაზე დაკვირვება, ვირტუალური დაფა,

ამერიკელი მწერალი და მეცნიერი, **მარკ პრენსკი** ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის უპირატესობაზე-მოსწავლეები სხედან თანამედროვე საკლასო ოთახში, საგაკვეთილო პროცესს წარმართავს ციფრული ტექნოლოგიების უნარის ფლობის მქონე პედაგოგი, რომელიც იყენებს გრაფიკულად მდიდარ, გლობალურად ხელმისაწვდომ ელექტრონულ რესურსებს და ციფრული მოწყობილობებს, როგორცაა: სმარტფონი, პლანშეტი, კომპიუტერი, ინტერნეტი.

პედაგოგებისთვის ეს გამოწვევაა, თუ როგორ ეხმარება სოციალური მედია განათლების მიღებაში მოსწავლეს. სოციალური ქსელიდან აღსანიშნავია ბლოგის უპირატესობა სასწავლო პროცესში ტესტების აგების, ჯგუფში ტესტირების ჩატარების რეპორტინგი.

სოციალური ქსელში არსებული სასწავლო პლატფორმები, ციფრული ტექნოლოგიები და ელექტრონული რესურსი: <https://lingwing.com/ka/>, <https://www.duolingo.com/>, <https://www.edmondo.com/> <https://appewa.com/>, <https://kahoot.com/> <https://thinglink.com/> <https://storybird.com/> ჩამოთვლილი პლატფორმების გამოყენება ინგლისური ენის სწავლებაში მნიშვნელოვანია ტესტური დავალებების შესასრულებლად და შესაფასებლად, შეიძლება როგორც მთელი კლასის სრულყოფილად მართვა პლატფორმაზე, იმ შემთხვევებში, როდესაც არსებული სასწავლო მასალები ერთფეროვანია და მოსაწყენია, სწავლების გასამრავალფეროვნებლად. საუკეთესო გზაა მშობლიურ ენასთან ადვილად გადამრთველი აპლიკაციის არჩევა, რათა სიტყვების მნიშვნელობა ადვილად გაიგოს მოსწავლემ და ეს პროგრამები ენის შემსწავლელს აძლევს საშუალებას სასაუბრო ენა კარგად აითვისოს, აუმჯობესებს, წერა, კითხვა, მოსმენა და საუბარი. ოთხივე კომპონენტს აკმაყოფილებს, თუ პიროვნება შეცდომას უშვებს ენის შემსწავლელი იმეორებს იქამდე, სანამ არ იქნება სრულყოფილად გაცემული პასუხი,

3.3. აქტიური მოსმენა და მისი როლი უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში

უგუ-ეს არის ხმა, რომელიც წარმოადგენს კარგ მაგალითს აქტიური მოსმენისთვის. ყოველი ადამიანი იყენებს მას საუბრისთვის, ის ყველაზე მარტვია ტელეფონზე საუბრისას მაგ: „და“ „გავიგეა“ ; „კი“ „აჰა“ ეს სიტყვები ეხმარება მოსაუბრეს რომ მარტივად მიხვდეს, თქვენ მას აქტიურად უსმენთ. ხოლო თუ ჩუმიად ხართ ტელეფონზე საუბრისას ე.ი თქვენ მოსაუბრის ლაპარაკი არ გაინტერესებთ, ამიტომ საჭიროა საუბრის დროს ემოციების გამოხატვა.

პაუზა-კიდევ ერთი ნაწილია საუბრისას, ეს არის პროცესი როცა ადამიანი ფიქრობს როგორ ჩამოაყალიბოს აზრი და მიაწოდოს მსმენელს სწორი ინფორმაცია, პაუზა დაგვეხმარება იმაში რომ როცა რაიმე ისტორიას ვუყვებით ვინმეს სწორად დავალაგოთ აზრები. პაუზის მნიშვნელობა მეტყველებაში დიდია.

კითხვათა ნაწილი - ის შედგება ღია და დახურული შეკითხვებისგან. დახურული შეკითხვების დროს ვსვამთ ისეთ კითხვებს, რომლებიც მოითხოვს პასუხს კი ან არა. მაგალითისთვის ასეთი შეკითხვები შეიძლება მოვიფიქროთ : **დღეს ჭამე have you eaten anything today?** დიდი ხანია აქ ხარ?-**how long have you been here?** და ა . შ. ხოლო ღია კითხვები კი ხასიათდება გრძელი პასუხებით მაგალითად : რამდენი ხანია აქ ხარ ?,

პერიფრაზირება-ეს არის ერთი და იგივე აზრის გადაცემა სხვა სიტყვებით , ისე რომ ინფორმაციის მნიშვნელობა არ შეცვალოთ. პერიფრაზირება შეიძლება დაიწყოს შემდეგი სიტყვებით თქვენ თქვით რომ “შემისწორეთ თუ რამე მეშლება”

მოცემული თემის გამომუშავება- ამ დროს ადამიანები იყოფიან 3 ჯგუფად .1-ლი ყველა ისტორიას , მე -2 უსმენს ისტორიას და იშველიებს არგუმენტებს მე-3 კი აკვირდება არგუმენტებს და აჯამებს როგორია ეს მისი მხრიდან .შემდგომ გვაქვს ასეთი კითხვები ; რთული იყო მოსმენა ?- Was it hard to hear?

რატომ ? -Why? რა გიშლიდათ ხელს? - What was holding you back? რას აჩვენებდით მსმენელს What did you show the listener-,რთული იყო ამის მოყოლა-It was hard to do that და ა . შ

ინტონაციის დამუშავება - ეს გულისხმობს როგორ გამოვთქვამთ სხვადასხვა სიტყვებს სხვადასხვაგვარად. ინტონაცია მთლიანად უცვლის შინაარსს. გაკვირვებით წარმოთქმული ან გაბრაზებით წარმოთქმული კი -ამით შეგიძლია გადმოვცეთ ჩვენი ემოცია. მაგ: როცა ეუბნებით ვინმე ბედნიერი ვარ შენი ნახვით -ეს შეგიძლიათ გადმოვცეთ სხვადასხვა ინტონაციით ბედნიერი ან გაბრაზებული. მაგრამ მთლადაც ამას ნუ დავეყრდნობით შეიძლება ადამიანმა გითხრას ან გამომეტყველებით გაჩვენებდეს თავს რომ ბედნიერია შენი ნახვით მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყოს ან პირიქით ბედნიერი იყოს შენი ნახვით მაგრამ ვერ გამოხატავდეს.

ჩქარი ტემპით საუბარი-ეს არის პროცესი, როცა არ გამოყოფთ სუნთქვას და გასურთ სწრაფად დაასრულოთ მსმენელთან საუბარი,სწრაფი საუბარი მეტყველებს შეიძლება იმაზე რომ ხართ გაღიზიანებული,ან დაკავებული,ხოლო ნელი ტემპით საუბარი კი თითქოს დეპრესიაში ხართ,თუმცა მხოლოდ ამ ფაქტებზე დაყრდნობით ვერ შევაფასებთ ადამიანს იმიტომ რომ ჩვენ განვსხვავდებით ინდივიდუალურად.შეიძლება ნელა ვსაუბრობდეთ მაგრამ დეპრესიაში სულაც არ ვიყოთ ან პირიქით.

მიერთება-ეს გულისხმობს პროცესს, როცა საუბრობ და სუნთქავ შენ შეგიძლია საუბარი გადმოსცე ემოციებით ან კიდევ როცა შეამჩნევთ რომ თქვენი მეგობარი გესაუბრებათ სწრაფად და თან ალელვებით თქვენ უნდა შეცადოთ ეს საუბარი გადაიყვანოთ დიალოგში და დაამშვიდო ის ადამიანი.

ხველება -საუბრის დროს. ხშირი ხველებით ჩვენ შეიძლება ადამიანს ვაჩვენებდეთ რომ ჩვენ მას ვუსმენთ, მაგრამ სინამდვილეში პირიქითაა. არ უნდა დავივიწყოთ ადამიანთა განსხვავებული გრძნობები საუბრის დროს და უნდა გავითვალისწინოთ .

აქტიური მოსმენა - ეს არის ყურადღებიანი და პატივისცემით მოსმენა და მოსაუბრის ნათქვამის მიღება. მსმენელი სრულად იპყრობს მთელ შეტყობინებას - ფაქტებს და ემოციებს, ვერბალურ და არავერბალურ კომპონენტებს. აქტიური მოსმენა (მას ასევე რეცეპტუალურ ან რეფლექტორულ მოსმენას უწოდებენ) მოსმენის ერთადერთი სახეობაა, რომელიც ხელს უწყობს განცხადების მნიშვნელობის გარკვევას და თანამოსაუბრის მოსაზრების შეფასებას, შეფასებითი და კრიტიკული განსჯის გარეშე. კომუნიკაციაში ამ "აერობატტიკას" ემპათიას უწოდებენ (ემპათია არის განსაკუთრებული სახის თანაგრძნობა, მონაწილეობა). აქტიური მსმენელი თანამოსაუბრეს სიტყვიერ გამოხმაურებას აძლევს, განმარტავს და დაადასტურებს ნათქვამის გაგებას.

მ. ბრაუნშტეინი გამოყოფს ხუთი აქტიური მოსმენის მექანიზმს:

- გახსნილობა;
- განმარტება;
- თანამოსაუბრის გრძნობების ასახვა;
- პარაფრაზირება;
- ამრეკლი პარაფრაზირება.

გახსნილობა — არის მეგობრული საუბრისთვის მზადყოფნის დემონსტრირება. ეს მიიღწევა არავერბალური და ვერბალური საშუალებებით.

ღიაობის გამოხატვის არავერბალური საშუალებებია:

- გადადეთ ყველა საქმე გვერდზე და გადაუხვიეთ პირისპირ თანამოსაუბრისკენ;
 - შეინარჩუნეთ თვალის კონტაქტი თანამოსაუბრესთან;
 - ადეკვატური ინტერესის და ყურადღების დემონსტრირება; თავი გააქნევინე; მიეცით თქვენს სახეს ყურადღება და მოთმინება; ოდნავ გადაიხარეთ სხვისკენ.
- ღიაობის გამოხატვის ვერბალური ნიშნებია:

"დიახ, დიახ" ან "კარგად, კარგად";="Yes, yes" or "Well, well";

"გაიგე";="understand";

"დიახ, მე ვუსმენ";="Yes, I'm listening";

"მართალია?";="Is that right?";

"რა თქმა უნდა!";="of course!";

"დიახ";="Yes";

"შესანიშნავია!";="Excellent!"

დაზუსტება ხელს შეუწყობს თანამოსაუბრის გულწრფელ საუბარს და მისი იდეების უფრო ღრმად გააზრებას. ეს მიიღწევა კითხვების დაზუსტების საშუალებით, რომლებიც უნდა იყოს ღია, ანუ დეტალური პასუხის გაცემა. შედეგად, შეგიძლიათ მიიღოთ უფრო დეტალური ინფორმაცია საუბრის საგნის შესახებ.

ღია კითხვები, როგორც წესი, სიტყვებით იწყება რა=What? რა, როგორ, ვუთხრა,=What, how, tell; აღწერა და ახსნა:

რა არის თქვენი კვლევის ძირითადი დასკვნები?

როგორ მივიდა დასკვნებში მოხსენიებულ დასკვნებში?

გვითხარით მეტი იმ გეგმის შესახებ, რომელიც თქვენი აზრით გუნდს დაეხმარება.

მოიყვანეთ მაგალითი თქვენი აზრის დასადასტურებლად.

ასეთ კითხვებს ვსვამთ (განმარტების გამოყენებით), თქვენ თანამოსაუბრეს გულწრფელი საუბრისკენ მოუწოდებთ დაზუსტებისას, უნდა შევეცადოთ გამოვიჩინოთ ინტერესი და არა დაკითხვა.

თანამოსაუბრის გრძნობების ასახვა მოიცავს ემოციების ასახვას, რომელსაც მსმენელი იღებს შეტყობინებიდან (ჩვეულებრივ, ისინი გამოხატულია არავერბალურად ინტონაციებით, ხმის ტემპით და სხეულის ენით). ამით ის სარკესავით მოქმედებს. თქვენ აღწერთ აღქმულ ემოციას და ამოწმებთ რამდენად ზუსტად აღიქვამთ და მიხვდით მას, მაგალითად, ასეთი ფრაზების დახმარებით.

თქვენ, როგორც მე მესმის, კმაყოფილი ხართ იმით, რაც ხდება? = Are you, as I understand it, satisfied with what is happening?

ჟღერს სიტუაცია საკმაოდ სევდიანი იყო, არა? = Sounds like the situation was pretty sad, right?

როგორც ჩანს, გაერთეთ. არა? = Seems to have fun. No?

თქვენი ანარეკლი აგებულია კითხვის სახით; თქვენ სთხოვთ სხვა პირს დაადასტუროს ან დაზუსტოს მოსმენილი. ეს არის უმოკლესი გზა ურთიერთგაგებისაკენ. ასახვა არ არის დაკითხვა, ამიტომ ფრაზები უნდა იყოს რბილი, მშვიდი და გასაგები.

წერილის ხელახლა თარგმნა - ეს არის გზავნილის ძირითადი იდეის გადმოცემა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად სწორად არის ეს გაგებული. ასახვის მსგავსად, პარაფრაზირება ჩვეულებრივ არის ერთი წინადადება, რომელიც მთავრდება

"არა?" – isn't it?

ამით თქვენ სთხოვთ თანამოსაუბრეს დაადასტუროს ნათქვამი. პარაფრაზირება ხშირად იწყება შესავალი ფრაზებით, მაგალითად "სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ ამბობთ, რომ ...

“თქვენთვის მნიშვნელოვანია, არა?” = It's important to you, isn't it? "

აქ არის რამდენიმე შესავალი ფრაზა.

‘თქვენ გულისხმობთ’ ... other სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ... “In other words”

“თუ სწორად მესმის თქვენი” = “If I understand you correctly”

ამრეკლი პარაფრაზირება ზემოთ აღწერილი ორი აქტიური მოსმენის მექანიზმის კომბინაციაა. როგორც სახელი გულისხმობს, ის აერთიანებს ემოციის ანარეფრაჯის ასახვას, როდესაც შეტყობინების სემანტიკური დატვირთვა გადმოცემულია როგორც სიტყვებით, ასევე ემოციებით.

ამრეკლი პარაფრაზირება ჩვეულებრივ გამოიხატება ერთ წინადადებაში, მაგალითად:

“იმედი გაუცრუვდათ, რომ ... სწორად ვხვდები?”=“Disappointed that ... I guess right?”

“თქვენ, ვხედავ, ამაყობთ, რომ ... მართლა?”=“You, I see, are proud that ... really?”

აშკარაა საერთო შეცდომები რასაც ადამიანები აკეთებენ აქტიური მოსმენის ტექნიკის დაუფლებისას, ამ შეცდომების მიზეზებად **მ. ბრაუნშტეინი** შემდეგს ასახელებს:

- **კრიტიკა:** სანამ სრულად არ გაიგებთ რას ამბობს თანამოსაუბრე, ნუ გააკრიტიკებთ მას ან მის იდეას. საკვირველია, როდესაც ადამიანი კარგად ესმის თანამოსაუბრის იდეა, ის კარგავს მის კრიტიკის სურვილს;
- **თავდაცვითი რეაქცია.** იმისათვის, რომ იყოთ აქტიური მსმენელი, არ უნდა დაეთანხმოდ ყველაფერს, რასაც გეუბნებიან. თუ გაღიზიანებული ხართ ან კონტრშეტევა მოგივათ, როგორც კი მოისმენთ იდეას, რომელთანაც არ ეთანხმებით, მაშინ აჩვენებთ, რომ ვერ უსმენთ და ვერც გაიგებთ;
- **დაპირისპირება.** ზოგიერთს სურს დაამტკიცოს თავისი უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ და ყოველი მოსმენილი ფრაზის გამოწვევით. თუ თანამოსაუბრეს მუდმივად უწევს საკუთარი აზრის დამტკიცების უფლების დამტკიცება, მაშინ დიდი ალბათობით ვერასდროს გაიგებთ რისი თქმა სურს მას;
- **რჩევები.** მიუხედავად იმისა, რომ ყველას უყვარს რჩევის მიცემა, უმჯობესია ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის გაკეთება მოგეთხოვებათ. ყველა გაჟღერებული აზრი არ არის უშუალო პრობლემა. აქტიური მსმენელები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ ნათქვამის გაგებას და პრობლემის მოგვარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებენ, თუ ის ნამდვილად არსებობს.
- **საკუთარ თავზე ფოკუსირება.** თუ ვინმეს შეტყობინებებზე თქვენი პასუხები საუბარს გადააქცევს თქვენსკენ, თქვენს აზრზე და თქვენს ინტერესებზე, მაშინ თქვენ შეწყვიტეთ მოსმენა და გახდით დომინანტი საუბარში. მადლობას გიხდით მონაწილეობისთვის, მაგრამ ისინი შეწყვეტენ თქვენთან დაკავშირებას.

ზემოთქმულის შეჯამებით, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ეფექტური მოსმენის წესები, რომლებიც მიზნად ისახავს წარმატების მიღწევას ბიზნეს საუბარში:

1) გაეცანით საუბრის თემას, იგრძნობთ შინაგან ინტერესს;

2) კომფორტულად იჯდეს, მაგრამ არ მოდუნდეს, რადგან დასვენება უარყოფითად მოქმედებს ტვინზე, ხელს უშლის ყურადღებით მოსმენას. სწორი პოზა ეხმარება ფოკუსირებაში;

3) საუბრის დროს, ნუ ათვალისწინებთ უცხო საგნებს - ეს ხელს უშლის ხელს, ნერვიულობს თანამოსაუბრე. აღინიშნა, რომ ქალები უფრო მეტად არიან განწყობილნი, ვიდრე მამაკაცები, ამიტომ უფრო ხშირად უყურებენ ქალს თვალების მოსმენისას;

4) მოუსმინე ინტერესით - ეს ხელს შეუწყობს ურთიერთ სიმპათიისა და პატივისცემის ატმოსფეროს შენსა და თანამოსაუბრეს შორის;

5) არ შეუშალოთ საუბარი თქვენს პარტნიორს, მიეცით საშუალება ბოლომდე გამოთქვას აზრი;

6) მოსმენისას გამოკვეთეთ მოსაუბრის ძირითადი აზრები და შეეცადეთ მათ სწორად გაიგოთ;

7) სწრაფად შეადარე მიღებულ ინფორმაციას შენსთან და დაუყოვნებლივ გონებრივად დაუბრუნდი საუბრის მთავარ შინაარსს;

8) საუბრის დროს შეეცადეთ გონებრივად შეაჯამოთ ის, რაც გსმენიათ ორჯერ ან სამჯერ (საუბარში პაუზების დროს);

9) საუბრის მსვლელობისას შეეცადე იწინასწარმეტყველო, რა იქნება შემდეგ.

ეს არის საუბრის ძირითადი პუნქტების დამახსოვრების კარგი მეთოდი;

10) არ იჩქაროთ საუბრის შედეგების შეფასება. მოუსმინეთ ყველაფერს სრულად და შემდეგ შეაფასეთ.

აქტიური და, შესაბამისად, ეფექტური მოსმენის უნარები, ისევე როგორც რაციონალური კითხვის უნარები, ძალიან მნიშვნელოვანია სამეტყველო საქმიანობის პროდუქტიული სახეობების - წერისა და მეტყველების უნარების განვითარებისათვის.

ციციშვილი და სხვ. მოსმენის უნარ-ჩვევას უწოდებს „**ჯვარისებრს (crucial)**“. „ჩვეულებისამებრ, მოსმენის უნარ-ჩვევა არ არის ცალკეული. ყოველდღიური ჩვეული კომუნიკაციის დროს იგი პირდაპირ კავშირშია მეტყველებასთან. ერთი პირი საუბრობს, მეორე უსმენს და პასუხობს. იმისათვის, რომ შედგეს წარმატებული საუბარი, მოსწავლეებმა უნდა გაიგონ და აღიქვან, თუ რას ეუბნებიან მათ” (**ციციშვილი და სხვ., (2008) (გვ: 100)**). მოსმენა წარმოადგენს საუბრის სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რადგანაც **საუბრის უნარ-ჩვევების** ფორმირება შეუძლებელია ე.წ. „სმენითი ხატების” გონებაში შექმნის გარეშე (**გიორგობიანი და სხვ., 2004, გვ: 157**).

დოფი (Doff, 1986) ყურადღებას ამახვილებს მოსმენის მნიშვნელობასა და მისი სწავლების აუცილებლობაზე. ის დიდ უპირატესობას ანიჭებს მოსმენის უნარის განვითარებას ენის კომუნიკაციური მიზნებით სწავლებისას. იგი აღნიშნავს, რომ მოსმენა დაკავშირებულია სხვა სამეტყველო მოქმედებებთან. მოსმენის უნარის ჩამოყალიბებაში ავტორი დიდ როლს ანიჭებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორცაა: სურათები, თამაშობები მიხედვრილობაზე, ინფორმაციის გაცვლაზე, კამათი, დისკუსია, როლების თამაში და ა.შ. **(გვ:190-199) როგოვა (Rogova, 1975)** ასახელებს სავარჯიშოთა შემდეგ სახეებს: სავარჯიშოები გამოცნობაზე, ვარჯიში (დრილი - გამეორება, შეცვლა, დასრულება), შემოქმედებითი სავარჯიშოები (კითხვების დასმა, აზრების ჩამოყალიბება, საუბარი სხვადასვა სიტუაციებზე, კომენტარის გაკეთება ფილმზე, მოთხრობის მოყოლა, თარგმანი). **ნოზაძე (2008)** გვიჩვენებს, რომ მოსმენისა და წარმოთქმის სავარჯიშოებთან ერთად გამოვიყენოთ ილუსტრირებული მასალაც, რათა უფრო ბუნებრივად და ეფექტურად შესრულდეს სავარჯიშოები. მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ მეტყველების ტემპზე, რომელსაც უნდა მოუსმინოს ბავშვმა. „ბუნებრივია, ბავშვებს კომუნიკაცია საკუთარ თანატოლებთან სურთ, ამდენად, აუდიო ჩანაწერების დიდი ნაწილი ბავშვების მიერ უნდა იყოს გახმოვანებული. თუმცა, ცნობილია, რომ ყველაზე მკვეთრი მეტყველება აქვთ მამაკაც დიქტორებს, შემდეგ - ქალებს, ბავშვების დიქცია კი ბევრი დეფექტით ხასიათდება და რთული აღსაქმელია. ამიტომ პირველი მოსასმენი აუდიო ჩანაწერები მოზრდილი დიქტორების მიერ წაკითხულ ტექსტს უნდა შეიცავდნენ, შემდეგ კი თანდათანობით ბავშვების ხმების ჩანაწერებიც უნდა შემოვიტანოთ **(გვ: 125)**.

თანამოსაუბრის მოსმენის უნარი არის ადამიანის კომუნიკაბელურობის მთავარი კრიტერიუმი. გასაკვირი არ არის, რომ ძველი ბერძნული სიბრძნე ამბობს: "ორი ყური მოგვცეს და მხოლოდ ერთი პირი მოგვცეს, რათა უფრო მეტი მოვისმინოთ და ნაკლებად ვილაპარაკოთ". ამის მიუხედავად, კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ 10% -მა ადამიანმა არ იცის როგორ მოუსმინოს თავის თანამოსაუბრეს. საქმიანი საუბრის დროს, როდესაც პარტნიორებს შორის არის დიალოგი, აუცილებელია გახსოვდეთ კომუნიკაციის პროცესის ორმაგი ხასიათი - თანამოსაუბრეებს შორის მუდმივი ურთიერთქმედება. აუცილებელია საუბარში მონაწილეობა ერთობლივად, პარტნიორის ყურადღებით მოსმენა, მისი სიტყვების ანალიზი და შედარება საკუთარ გამოცდილებასთან. ზოგადად მიღებულია, რომ კონტაქტის დამყარებისას მთავარი როლი ენიჭება მოსაუბრეს, მაგრამ კომუნიკაციის პროცესის ანალიზი აჩვენებს, რომ მსმენელი შორს არის ამ ჯაჭვის ბოლო რგოლისგან.

შემუშავებულია სპეციალური ტესტები პირის მოსმენის უნარის შესაფასებლად. ჩვენ გთავაზობთ ერთ-ერთ ამ ტესტს. მოსმენის უნარის ტესტი უპასუხეთ შეკითხვებს პასუხის ერთ-ერთი ვარიანტის არჩევით:

შემუშავებულია სპეციალური ტესტები პირის მოსმენის უნარის შესაფასებლად. ჩვენ გთავაზობთ ერთ-ერთ ამ ტესტს. მოსმენის უნარის ტესტი უპასუხეთ შეკითხვებს პასუხის ერთ-ერთი ვარიანტის არჩევით: არასდროს.

1. აძლევთ თანამოსაუბრეს სიტყვის შესაძლებლობას?
2. ყურადღებას აქცევთ განცხადების ქვეტექსტს?
3. ცდილობთ თუ გახსოვს მოსმენილი?
4. ყურადღებას აქცევთ შეტყობინებას მთავარს?
5. ამახვილებთ თანამოსაუბრის ყურადღებას მისი გზავნილის დასკვნებზე?
6. მოსმენის ტიპები თრგუნავთ თქვენს სურვილს, თავიდან აიცილოთ უსიამოვნო კითხვები?
7. იკავებთ გაღიზიანებას საპირისპირო მოსაზრების მოსმენისას?
8. ცდილობთ თუ არა ყურადღების გამახვილება თანამოსაუბრის სიტყვებზე? ყოველთვის - 4 ქულა; ხშირად - 3 ქულა; ზოგჯერ - 2 ქულა; არასოდეს - 1 ქულა. თუ **აკრეფილი** ხარ 32 ქულა ან მეტი, მაშინ თქვენი მოსმენის უნარი შეიძლება შეფასდეს, როგორც "**შესანიშნავი**"; თუ თქვენ გაქვთ 27-31 ქულა, მაშინ თქვენ კარგი მსმენელი ხართ; თუკი 22-26 ქულა - **უდიდამო**; თუ აკრეფილი ხარ 22 ქულაზე ნაკლები, მაშინ უნდა მოამზადოთ მოსმენის უნარი. საქმიანი საუბრის პირობებში მსმენელებს პრაქტიკულად ისეთივე უარყოფითი მხარეები აქვთ, რაც საჯარო გამოსვლის მოსმენისას. იმავდროულად, კომუნიკაციის ერთ-ერთი მიზანია მაქსიმალურად გაეცნოთ თქვენს თანამოსაუბრეს: გააცნობიეროთ მისი ფსიქოლოგია და აზროვნება, შეაფასოთ მისი ბიზნესის შესაძლებლობები და გაიგოთ შედეგების შესახებ.

1. მოპასუხე გვთავაზობს განვასხვაოთ შემდეგი მსმენელის ტიპები კომუნიკაციის სიტუაციაში

2) **გონივრული მსმენელი** - ფიქრობს მსგავს რამეზე: "შენ ამას ამბობ, რომ დამნაშავედ ვიგრძნო თავი" = "You say this to make me feel guilty"

ან "ახლა მივხვდი, რატომ თქვი ეს"; = "Now I understand why you said that";

3) **სიმპატიური მსმენელი** - ძალიან სწრაფად ეთანხმება (ან გამოხატავს მის სიმპათიას მოსაუბრისადმი), აკეთებს, მაგალითად, შემდეგ შენიშვნებს:

"შენ აბსოლუტურად მართალი ხარ" = "You are absolutely right"

ან "მე შენ თანაუგრძნობ"; = "I sympathize with you";

4) ანალიტიკური მსმენელი - პირიქით, ის მიდრეკილია დასვას კითხვა:

"როდის?"="When?"

ან თქვი: "მომიყევი კონკრეტული მაგალითი"="Give me a specific example"

ამასთან, ამ რეაქციებს კომუნიკაციის "ჩარევას" უწოდებენ;

5) **საპასუხო მსმენელი** - იცის როგორ აქტიურად მოუსმინოს, გააანალიზოს მოსმენილი, თანაუგრძნოს მოსაუბრე. ცხადია, საპასუხო მსმენელს უდიდესი წარმატების მიღწევა შეუძლია ბიზნეს კომუნიკაციაში.

თავი 4. ჩატარებული კვლევა, მისი შედეგები, დასკვნა და რეკომენდაციები.

ჩემი თემის კვლევის მიზანს წარმოადგენს : ინგლისურ ენაში ზეპირმეტყველების სწავლების სირთულეების დაძლევის გზების ძიება და სამეტყველო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს 8 კლასში ინგლისურ ენაზე ზეპირმეტყველების განმტკიცების ისეთი გზების, სტრატეგიებისა და ხერხების ძიება, რომელიც ეფექტურ საშუალებას მიცემს მოსწავლეს გამოიყენოს შესასწავლი ენა კომუნიკაციისთვის და საინტერესო გახდეს უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველება.

ვფიქრობ ჩემს მიერ გარკვეული საკითხების ძიებიდან მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების უნარის განვითარებას ,რაც გაზრდის მოტივაციას უცხოური ენის სწავლებისას.

კვლევის საერთო მიზნიდან გამომდინარე ,ნაშრომში ეტაპობრივადაა გადაჭრილი შემდეგი ამოცანები :

1. რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ზეპირი მეტყველება და რა პრობლემას წარმოქმნის ის საგაკვეთილო პროცესი
2. რამდენად შეუწყობს ხელს ამ უნარის განვითარება მოსწავლეთა მოტივაციისა და სწავლების ხარისხის ამაღლებაში
3. რა თავისებურებები უნდა გავითვალისწინოთ ზეპირი მეტყველების სწავლებისას
4. იცვლება თუარა რაიმე თუკი პედაგოგები გაითვალისწინებენ ჩემს რჩევებს.
5. რა ღირებულებები აქვს აღნიშნულ საკითხს კათედრის წევრებისათვის

კვლევის გეგმა:


კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოვიყენე: გამოკითხვა. მონაცემთა ანალიზი, ინტერვიუ, კითხვარები და დისკუსია.

გამოკითხვა ჩატარდა უცხოური ენის კათედრის წევრებთან. მიზანს წარმოადგენდა პრობლემის აქტუალობის დადგენა და კათედრის წევრების დამოკიდებულების გაცნობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რაც დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვაში და კითხვარების მომზადებაში

კითხვარები - მოვამზადე როგორც მე-8 კლასის მოსწავლეებისთვის ასევე უცხოური ენის კათედრის წევრებისთვის. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კათედრის სამივე წევრმა, ხოლო მოსწავლეთათვის განკუთვნილი კითხვარი ყველა მათგანისთვის მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირის გამო. მოსწავლეთათვის ეს საინტერესო გახლდათ ისინი მთელი რიგი პასუხისმგებლობით შეუდგნენ კითხვარის შევსებას. შევსებულმა კითხვარმა ზოგადი წარმოდგენა შემიქმნა თუ რას ფიქრობდნენ მოსწავლეები და კათედრის წევრები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.

დავალებების მონაცემთა ანალიზი - ეს გზა გამოვიყენე იმისთვის ,რომ დამედგინა თუ რა შდეგს მიაღწევდნენ მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის (წერიით, კითხვითი, მოსმენისა და ზეპირი) დავალებების შესრულებაში .მოსწავლეთა დავალებების შედეგების ანალიზი დამეხმარა იმის დადგენაში ფლობენ თუარა მოსწავლეები ყველა იმ უნარს რაც საჭიროა ზეპირი მეტყველების სწავლებისას.

1.მოსწავლეთა მიერ შესრულებული კითხვარის ანალიზის შემდეგ გაირკვა , რომ გამოკითხულ მოსწავლეთაგან კითხვა შეავსონ (6 მოსწავლემ) 3 ბავშვი თვლის რომ კარგად ფლობს ინგლისურ ენას , 1 მოსწავლე ფიქრობს რომ შეუძლია საუბარი , მაგრამ აქვს შიში საუბრის დროს შეცდომის დაშვებისას , ამიტომ ვერ ბედავს საუბარს.2 - კი თლის რომ რომ არაქვს საკმარისი გრამატიკული უნარ - ჩვევები რომ ისაუბროს ინგლისურ ენაზე, ამიტომაც უჭირს საუბარი (იხ :ნახ 1) კითხვარის შედეგები



ინტერვენცია პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე კითხვარის შევსება - ინგლისური ენის კათედრის წევრებთან ჩატარდა პირისპირ ინტერვიუ. ინტერვიუს მიზანი იყო გამერკვია თუ როგორ მიაჩნიათ კათედრის წევრებს, რა არის კათედრაზე გამოვლენილი პრობლემის მიზეზი და მის საფუძველზე შევავსე წინასწარ მომზადებული კითხვარი. ამით შევძელი შემეგროვებინა ინფორმაცია: – მოსწავლეთა რა ნაწილი ახერხებს თავისუფლად მეტყველებას უცხო ენაზე და როგორი ტიპის ზეპირ დავალებებს აძლევენ პედაგოგები მოსწავლეებს; – როგორ ფიქრობენ, სავარაუდოდ, რა არის ამის გამომწვევი მიზეზები და როგორ ესახებათ ამ პრობლემის დაძლევის გზები;

დავალების ტიპი	მოსწავლეთა რაოდენობა	1-2	3-4	5-6
1. წერითი ლექსიკურ-გრამატიკული	6			5
2.დიალოგის შედგენა (წერილობითი)	6		4	
3 მოსმენის დავალებები	6			6
4.დიალოგი (ზეპირი)	6		3	

სხვადასხვა ტიპის დავალებების *მონაცემთა შედეგების ანალიზისთვის* შევიმუშავე დაკვირვების დღიური .მიღებული შედეგები კი ასეთია :

წერითი ლექსიკური-გრამატიკული დავალებების შესრულებაში მხოლოდ ერთმა მოსწავლემ ვერ გაართვა თავი, რაც შეეხება მოსმენის დავალებას რამდენადაც გასაკვირი არუნდა იყოს ექვსივე მოსწავლემ წარმატებით გაართვა თავი.წერილობითი დიალოგების შექმნა გაუჭირდა მხოლოდ 2 მოსწავლეს, რაც შეეხება ზეპირ დიალოგებს :როგორცაა როლური თამაში,სიტუაციური ამოცანები მხოლოდ სამმა მოსწავლემ გაართვა თავი.


მიღებული შედეგების ანალიზის შემდეგ ჩავატარე მოსწავლეთა ანკეტირება,ჩემი მიზანი კი გახლდათ დამედგინა რასი მდგომარეობდა ზეპირმეტყველების პრობლემები.

კათედრაზე პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის შედეგად გაირკვა,რომ აღნიშნული პრობლემა არსებობდა ინგლისურ სხვა

კლასებშიც მიუხედავად იმისა, რომ ენა ისწავლება დაწყებითი საფეხურიდან და მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი იყვნენ.

პირისპირ ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციის შემდეგ შევიმუშავე კითხვარები.(პედაგოგებისთვის) მიღებული პასუხებიასეთია.პედაგოგები აღნიშნავენ,რომ მოსწავლეები გაკვეთილის საწყის ფაზაში იწყებენ უცხოენაზე კომუნიკაციას,მაგრამ პირველივე შეფერხებისას ისევ მშობლიურ ენაზე აგრძელებენ(მიმართვას,სურვილებისგამოხატვას, მასწავლებლის ინსტრუქციებზე პასუხების გაცემას). გაირკვასიც, რომ პედაგოგები უპირატესობას ანიჭებენ წერილობით, ინდივიდუალურ მუშაობას, ეს იქნება ტექსტზე მუშაობა, სავარჯიშოებზე მუშაობა, თუ ზეპირი დავალებები. რაც შეეხება სხვა ტიპის ზეპირ დავალებებს, როგორცაა როლური თამაში, რეპორტაჟი,დისკუსია/დებატები, ძალიან მცირე დროს უთმობენ. ამას ხსნიან იმ ფაქტორით, რომ, როგორც კი იწყებენ ბავშვები საუბარს, მალევე გადადიან მშობლიურ ენაზე. ამიტომ ისინი აზრს ვერ ხედავენ უცხო ენაზე დისკუსიის წარმართვის. გაირკვა ისიც, რომ ისინი თემის შესაბამის ლექსიკურ-გრამატიკულ ერთეულებს არ აწვდიან წინასწარ; რაც შეეხება მოსმენის დავალებებს, ისინი მოსმენის დავალებების მიცემისას იშვიათად იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს; ძირითადად თვითონ უკითხავენ მოსმენის დავალებებს და ზოგჯერ დისკზე აუდიო- ჩანაწერსაც იყენებენ კითხვაზე - ითვალისწინებდნენ თუ არა მასწავლებელი სასაუბრო, თემის შერჩევისას რეალურ სიტუაციებსა და მოსწავლეთა ინტერესებს, პასუხი გახლდათ ცალსახაა.

კითხვარის შედეგები ნახ :3



კვლევის გეგმა და ვადები

აქტივობა	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი პრობლემის შერჩევა	☺		
ინტერვიუ უცხოური ენის კათედრის წევრებთან	☺		
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	☺		
სხვადასხვა ტიპის დავალებების მონაცემთა ანალიზი		☺	
კითხვარების შედგენა და დამუშავება		☺	

გამოკითხვა		☺	
კითხვარი კათედრის წევრებისთვის			☺
გამოკითხვა			☺
მიღებული ანალიზი შედეგების			☺
შეხვედრა კათედრის წევრებთან			☺
ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება			☺
ცვლილებების შეფასება			☺

კვლევის შედეგები

დავალბათა შედეგების ანალიზი

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი: მოსწავლეებს არა აქვთ საკმარისად გამოუმუშავებული მოსმენის უნარ-ჩვევები, რაც შესაბამისად აისახება მათი მეტყველების უნარზეც, რადგანაც მოსმენა-გაგება პირდაპირ კავშირშია ლაპარაკთან.

❖ საკლასო ოთახში, სადაც იშვიათად მყარდება თავისუფალი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს და მოსწავლე-მოსწავლეს შორის;

❖ მოსწავლეთა ნაწილი საუბრისას განიცდის შფოთვის, ამიტომ შეცდომების დაშვების შიშით არ საუბრობს; ისინი არ არიან თავდაჯერებულები და მოტივირებულები.

❖ იშვიათად მიმართავენ ისეთ აქტივობებს, როგორცაა დისკუსია, რეპორტაჟი...

კითხვარების შედეგების ანალიზი

1. უპირატესობას ანიჭებენ ინდივიდუალურ წერილობით მუშაობის ფორმებს ;
2. მოსმენის დავალებების მიცემისას იშვიათად იყენებენ აუდიო-ვიდეო საშუალებებს მოსმენის უნარ-ჩვევის განსავითარებლად.
3. თითქმის არ მიმდინარეობს გაკვეთილზე თავისუფალი კომუნიკაცია (სურვილების გამოხატვა, კრიტიკა, განმარტება) უცხო ენაზე ;
4. მცირე დროს უთმობენ გაკვეთილზე ისეთ სამეტყველო აქტივობებს, როგორცაა როლური თამაშები, სიმულაციური სიტუაციები, დისკუსიები/დებატები;
5. დისკუსიების/დებატების გასამარტივებლად თემის შესაბამისად არ აწვდიან მოსწავლეებს წინასწარ საკვანძო სიტყვებს, ფრაზებს და ენობრივ კლიშეებს („საშენ ერთეულებს“), რის გარეშეც პრაქტიკულად წარმოუდგენელია დისკუსიის წარმართვა.

რეკომენდაციები კათედრის წევრებს:

უცხოური ენების კათედრაზე მოეწყოს სამუშაო შეხვედრა, სადაც კათედრის წევრებს გავაცანი კვლევის მიგნებები და ჩემს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროება კათედრის წევრებს შორის;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (მოსმენა/ყურება) გაკვეთილების დაგეგმვისა და მისი ჩატარების აუცილებლობა;
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით კათედრაზე ერთობლივი გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ზეპირმეტყველების სხვადასხვა განსავითარებელი აქტივობების გამოყენებით. (როლური თამაში, მთხრობელობა, დისკუსია/დებატები...)

ინტერვენციები და მათი შედეგები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე და დავგეგმე შესაძლო ინტერვენციები. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ, უცხოური ენების კათედრაზე მოეწყოს სამუშაო შეხვედრა, სადაც კათედრის წევრებს გავაცანი კვლევის მიგნებები და ჩემს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

I ინტერვენცია

კათედრაზე გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება აუდირების მიმართულებით საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ; გაკვეთილზე დაკვირვება;

II ინტერვენცია.

უცხოური ენების კათედრაზე გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა და ჩატარება წინასამეტყველო სავარჯიშოებისა და სამეტყველო სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით;

III ინტერვეცია

. თანამშრომლობის გაღრმავება კათედრის წევრებს შორის;

I ინტერვეციის განხორციელება

კათედრაზე გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება აუდირების მიმართულებით საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ; გაკვეთილზე დაკვირვება

კათედრის წევრების შეხვედრის მიზანი იყო ჩემი კვლევის შედეგად გამოვლენილი მოსწავლეების ერთ-ერთი საჭიროება-მოსმენის უნარ-ჩვევის გამომუშავებაზე ზრუნვა, რადგან გაგება-მოსმენა პირდაპირ კავშირშია ლაპარაკთან. ამ ინტერვენციის განხორციელებაში დამეხმარა ინგლისურ ენაში ტრენინგზე გავლილი მეთოდური კურსი ამ მიმართულებით: („ფილმის/სიმღერის, როგორც ავთენტური მასალის გამოყენება გაკვეთილზე „) ასეთი ტიპის გაკვეთილის ჩატარების გამოცდილების გაზიარების მიზნით კოლეგებს გავაცანი მოსმენის დავალებების ყველა ფაზა და ეტაპი, დავალებების ტიპების შესაბამისობა მათთან. შეხვედრა ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმეს გაკვეთილი. კათედრაზე გადაწყდა, რომ ყველა პედაგოგი ჩაატარებდა ამ მიმართულებით რამოდენიმე გაკვეთილს

II ინტერვეციის განხორციელება.

უცხოური ენების კათედრაზე გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვა და ჩატარება

წინასამეტყველო სავარჯიშოებისა და სამეტყველო სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით; გაკვეთილზე დაკვირვება; კათედრაზე ჩვენ ერთობლივად დავგეგმეთ და ჩავატარეთ გაკვეთილები ამ მიმართულებით, ყველა სამეტყველო სირთულის გათვალისწინებით

III ინტერვეციის განხორციელება

თანამშრომლობის გაღრმავება კათედრის წევრებს შორის;

ამ ინტერვენციის მიზანი იყო ის, რომ კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს შორის არ ხდება ინფორმაციის ხშირი გაცვლა. ისინი ინდივიდუალურად ცდილობდნენ ამ პრობლემის გადაჭრას სასწავლო პროცესში.

ინტერვენციის შედეგები პირველი ინტერვენციის ფარგლებში უცხოური ენების კათედრას უნდა ემუშავა ახალი (ერთობლივად დაგეგმილი) საგაკვეთილო გეგმით. კათედრა შედგება ხუთი პედაგოგისგან, თუმცა მათგან მხოლოდ სამმა მოახერხა ინტერვენციაში ჩართვა. ინტერვენციის ფარგლებში მასწავლებლებმა საგაკვეთილო გეგმით ორჯერ იხელმძღვანელეს. შეხვედრის მიზანი ინტერვენციის შეფასება იყო, რადგანაც პედაგოგს, რომელსაც თეორიული ცოდნა აქვს, შეუძლია მაგრამ ეს არ აისახოს გაკვეთილის პროცესზე. ამდენად, გადაწყვიტე გაკვეთილზე დაკვირვება. პირველი ინტერვენცია გეგმის მიხედვით წარიმართა: ინგლისურ ენის სამი პედაგოგი რამდენჯერმე შეიკრიბა. პირველ შეხვედრაზე მასწავლებლები საერთო აქტივობაზე შეთანხმდნენ, რომელსაც სამივე პედაგოგი ჩაატარებდა რომელიმე კლასში. კათედრაზე გადაწყდა: საერთო აქტივობად პედაგოგებმა დისკუსიის სწავლების მეთოდოლოგია შეარჩიეს. მათ წინა გაკვეთილზე მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეს სადისკუსიო თემა, ყოფით რეალურ სიტუაციაზე; მათ გულდასმით მიმოიხილეს წინასამეტყველო სავარჯიშოები, რომლებიც დისკუსიაზე მუშაობისას შეიძლებოდა შესრულებულიყო; დაიგეგმა, რომ რამოდენიმე წუთი დაეთმობოდა ფილმის ჩვენებას, სადაც გამოჩენილი ადამიანი აკეთებდა პრეზენტაციას შეცდომებით, მაგრამ ამის გამო მას არ შეუწყვეტია გამოსვლა. ეს მას შემდეგ, რაც მასწავლებლებმა მე-9 და მე-8 კლასებში ჩაატარეს გაკვეთილი, კვლავ შეიკრიბნენ და ჩატარებულ აქტივობაზე ისაუბრეს. მათ აღნიშნეს, რომ გაკვეთილმა კარგად ჩაიარა. მათი შეფასებით, მოსწავლეებს აქტივობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შეჰქმნიათ, პირიქით, სადისკუსიო თემის ირგვლივ შესაძლო ლექსიკური ერთეულების სირთულის მოხსნის შემდეგ და დამხმარე ფრაზების, გამოთქმების, ენობრივი კლიშეების დახმარებით, ბავშვებს გაუმარტივდათ დისკუსიის მომზადება და წარმართვა. ყველა ჯგუფს წინასწარ დაურიგდა დისკუსიის შეფასების რუბრიკა, მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ რა კრიტერიუმებით შეფასდებოდნენ.

II ინტერვენციის შედეგები კათედრაზე გადაწყდა, რომ ყველა პედაგოგი ჩაატარებდა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოსმენის მიმართულებით რამოდენიმე გაკვეთილს. ამ მიმართულებითაც მხოლოდ სამმა მასწავლებელმა გამოთქვა გაკვეთილის ჩატარების სურვილი. მათ იცოდნენ რომ გაკვეთილებზე უნდა განხორციელებულიყო დაკვირვება. მათ 8-9 კლასებში ჩაატარეს გაკვეთილები. პირველი გაკვეთილი-ფილმის გამოყენებით დაგეგმეს და ჩაატარეს, ხოლო მეორესი მღერის/კლიპის გამოყენებით. კათედრაზე მათი უკუკავშირი ასეთი იყო: მოსწავლეებს 21 პირველ-ორ გაკვეთილზე გაუჭირდათ მოსმენის დავალებებზე მუშაობა; მესამე გაკვეთილზე გაცილებით უკეთესი შედეგი მიიღეს პედაგოგებმა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ძალიან მაღალი იყო მოსწავლეთა მოტივაცია. ასეთი გაკვეთილების აქტიური გამოყენება კათედრის წევრების მიერ დაეხმარება სამომავლოდ

მოსწავლეს ლაპარაკის პრობლემის დაძლევაში, რადგან მოსმენა- გაგება პირდაპირ კავშირშია ალაპარაკებასთან; გაკვეთილებმა გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია; გაკვეთილების აქტიური გამოყენება კათედრის წევრების მიერ დაეხმარება სამომავლოდ მოსწავლეს ლაპარაკის პრობლემის დაძლევაში, რადგან მოსმენა- გაგება პირდაპირ კავშირშია ალაპარაკებასთან; სამწუხაროდ, რამდენად აისახება ეს ცვლილება მოსწავლეთა შედეგებზე, დროის უქონლობის გამო მასზე დაკვირვება ვერ შევძელი.

III ინტერვეციის შედეგები მესამე შეხვედრაზე გადაწყდა, რომ წინა აქტივობებისგან განსხვავებით, ამჯერად არჩევანს ურთიერთთანამშრომლობაზე შევაჩერებთ. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შევიკრიბეთ და პედაგოგებმა ერთმანეთს გამოცდილება კიდევ ერთხელ გაუზიარეს. შეხვედრას როგორც აღნიშნეს, მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ განსხვავებული სტილის აქტივობები, შესაბამისად, ჩართულობაც მაღალი იყო. მესამე ინტერვენციის მიზანიც სწორედ ეს იყო: ვინაიდან მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის ნაკლებობაა, ჩემი აზრით ყველასთვის ნაცნობი აქტივობების შესახებ საუბრებმა და გაკვეთილების განხილვებმა გაზარდა მსჯელობის პროცესში თითოეული მათგანის ჩართულობა და რაც მთავარია შედგა ურთიერთთანამშრომლობა

კითხვარები უცხოური ენების კათედრის წევრებისათვის.

1. როგორი ტიპის დავალებების შესრულება მოსწონთ ბავშვებს?

ზეპირი

ო წერითი

ო მოსმენის

2. უჭირთ თუ არა მოსწავლეებს ზეპირი დავალებების შესრულება ?

ო კი

ო არა

3. მოსწავლეთა რა ნაწილი ახერხებს ლექსიკური და გრამატიკული ცოდნის გამოყენებას ზეპირი მეტყველების დროს?

1. მოსწავლეთა უმრავლესობა
 2. მცირე ნაწილი
 3. მოსწავლეთა ნახევარი

 4. რა სიხშირით აძლევთ მოსწავლეებს ზეპირმეტყველების განსავითარებელ აქტივობებს? 1. ხშირად
 2. ზოგჯერ
 3. არასდროს
 5. რა არის ამისი გამომწვევი მიზეზი?
-

დასკვნა

ნაშრომი „ინგლისური ზეპირმეტყველების სწავლების თანამედროვე სტრატეგიები“ განიხილავს ზეპირმეტყველების სწავლების მნიშვნელობას, ენის სწავლების მეთოდის კლასიფიკაციას, კომუნიკაციას როგორც ზეპირი მეტყველების გამოხატვის შესანიშნავ საშუალებას, კომუნიკაციის ფორმებს და სახეებს და სახავს მის მიზნებს და ამოცანებს. აგრეთვე აღნიშნულია მოტივაციის როლი ზეპირი მეტყველების განვითარებაში რომელიც აუმჯობესებს ზეპირი მეტყველების უნარს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის რომ თანამედროვე ინგლისურში უცხო ენაზე მეტყველების განვითარება ტექნოლოგიების საშუალებით უფრო ეფექტური ხდება. აქტიური მოსმენა და მისი როლი უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში დიდ როლს ტამაშობს. მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა ენის შესწავლისას.

ნაშრომში საუბარი იმს შესახებ რომ უცხო ენის სწავლება საკმაოდ შრომატევადი პროცესია და ის პედაგოგისა და სტუდენტისგან ძალიან დიდ ძალისხმევას, ენერგიას, დროსა და მიზანმიმართულ, თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევა სჭირდება

როგორც ენის შემსწავლელის, ასევე მასწავლებლისაგან და ამისათვის სასწავლო პროცესში ყველა ელემენტის ჩართვაა საჭირო. აგრეთვე ის, რომ წარსულთან შედარებით, დღეს მნიშვნელოვანია შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია, რაც მიღწევადია სწავლების ეფექტური მეთოდების გამოყენებით

ნაშრომში განიხილავს „ინგლისური ზეპირმეტყველების სწავლების თანამედროვე სტრატეგიებს“ . ზეპირი მეტყველების სწავლება პედაგოგისა და სტუდენტისგან ძალიან დიდ ძალისხმევას, ენერგიას, დროსა და მიზანმიმართულ, თავდაუზოგავ შრომას მოითხოვს. უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევა სჭირდება როგორც ენის შემსწავლელის, ასევე მასწავლებლისაგან და ამისათვის სასწავლო პროცესში ყველა ელემენტის ჩართვაა საჭირო. აგრეთვე ის, რომ წარსულთან შედარებით, დღეს მნიშვნელოვანია შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია, რაც მიღწევადია.

რაც შეეხება ჩემი კვლევის მიზანს, პედაგოგები გაეცნენ მეთოდებსა და დაეუფლნენ ზეპირმეტყველების იმ სტრატეგიებს ,რომლებიც დაეხმარებათ მათ მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კომუნიკაციური გაკვეთილის წარმართვაში. ისინი მიხვდნენ,რომ შესაძლებელია ნაბიჯ-ნაბიჯ ეგრედ წოდებულ“ საშენ ერთეულებზე“დაყრდნობით,ანუ ენობრივ კლიშეების,ფრაზების,წინასწარ მიწოდებით შესაძლებელია ისეთი რთული აქტივობების სწავლება,როგორცაა დისკუსია , დებატი და ა.შ. ახალი მეთოდებით ჩატარებულმა გაკვეთილებმა გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია; ასეთი გაკვეთილების აქტიური გამოყენება კათედრის წევრების მიერ დაეხმარება მოსწავლეებს(მოუხსნის შეცდომების დაშვების დისკომფორტს) სამომავლოდ მოსწავლეს დაეხმარება ლაპარაკის პრობლემის დაძლევაში

ლიტერატურის დასახელება:

1. ეროვნული 2016 - ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი პროგრამა უცხო ენაში, თბილისი
2. ლექსიკონი2008 - უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი ინტერნეტ რესურსი<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3>
3. ლექსიკონი 2005 სამოქალაქო განათლების ლექსიკონი,ინტერნეტ რესურსი<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=6>

4. სიხარულიძე2012 - სიხარულიძე მარიკა, როლური თამაშები უცხოური ენის გაკვეთილზე, თბილისი ინტერნეტ რესურსი http://www.mastsavlebeli.ge/index1.php?action=page&p_id=7&npid=12&id=135
5. შავერდაშვილი2014 - შავერდაშვილი ეკატერინე „უცხოური ენების სწავლების საუძვლები“; თბილისი
6. ჯაყელი 2015 - ჯაყელი ქეთევან „ ლექსიკის სწავლების ეფექტური გზები“, თბილისი ინტერნეტ რესურსი <http://mastsavlebeli.ge/?p=3540>
7. Gairns, Redman 1986 – Gairns Ruth, Redman Stuart, ” Working with words”, UK, Cambridge
8. Harmer.....Harmer Jeremy “The practice of English language teaching”, UK, Cambridge
9. Searle, J. R....1969 - Speech Acts. University Press. Cambridge
10. Wilkins 1972 – Wilkins Devid “Vocabulary learning and teaching grammar” ინტერნეტ რესურსი https://www.academia.edu/1711441/Vocabulary_Learning_and_Teaching_Pedagogy_Research_and_Resources
11. Joklová 2009 - Joklová Kateřina “Using pictures in teaching vocabulary” ინტერნეტ რესურსი http://is.muni.cz/th/123676/pdf_b/Bachelor_Thesis-Using_pictures_in_teaching_vocabulary.pdf
12. https://www.academia.edu/1711441/Vocabulary_Learning_and_Teaching_Pedagogy_Research_and_Resources
13. UR ,Thornbury – UR Penny ,Thornbury Scott- “ vocabulary review and vocabulary activities”, Cambridge University Press ინტერნეტ რესურსი <http://www.cambridge.org/us/cambridgeenglish/catalog/teacher-training-development-and-research/vocabulary-activities/vocabulary-activities-cd-rom?isbn=9780521181143&format=WW>
14. UR 1991- UR Penny ”A course in language teaching“, Cambridge University Press
- 15 . Хаханова_ Хаханова Людмила, ,, Поэтапное обучение диалогической речи на уроках английского языка <http://festival.1september.ru/articles/551396>
16. Weinert 1997
17. (გიორგობიანი და სხვ., 2004, გვ: 157

18. დოფი (Doff, 1986
19. (ჩინჩალაძე, ლ. 2008წ.).
20. (მუჯანაძე, 2013:31).
- 21.(პალიველი, 1992:7).